1927 წლიდან

თბილისის უნივერსიტეტი

6 ოქტომბერი, 2025

№ 6 [2260]

ქართული ენის სავალდებულო სწავლება – ახალი გამოწვევა და შესაძლებლობა უმაღლეს განათლებაში

ახალი ინიციატივა

3 გვ.

აბიტურიენტთაგან ყველაზე მეტმა სწორედ თსუ შემოხაზა

ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილე 8408 აბიტურიენტის პირველი არჩევანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია

3 გვ.

უნივერსიტეტში 100%-იანი გრანტით მოხვედრილი ლიზი ნებიერიძის ქარიზმატული იდეები

ის ემოციები, რომელიც ბავშვობიდან მოჰყვება, ლიზის უკეთესი ცხოვრებისთვის ბრძოლის უნარიანობას მატებს

9 გვ.

შეხვედრა თსუ-ს შვიდივე ფაკულტეტის პირველსემესტრელებთან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავ ლიდერია!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წელი 22 სექტემბერს დაიწყო. ახალი სასწავლო წლის (2025-2026) დაწყებას წინ უძღოდა საინფორმაციო შეხვედრები პირველ-სემესტრელებთან, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხნენ თსუ-ში.

3 გვ.

წინა სახელმძღვანელოებისგან პრინციპულად განსხავებული ახალი სახელმძღვანელო სოციოლოგიის შესავალში

13 გვ.

ნორმატიული აქტის მომზადების პირველი გზამკვლევი საქართველოში

გვესაუბრება თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ვასილ გონაშვილი

13 გვ.

სტუდენტური ფურცელი

5-12 გვ.

რა თემატიკა მოიცვა საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც კულტურის კვლევათა ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა

4 გვ.

რა იდეისთვის დაჯილდოვდა უნივერსიტეტელი თამთა ნაბორაშვილი ახალგაზრდებისთვის დაწესებული მშვიდობის ჯილდოთი?

14 გვ.

90 წლისთავზე – ელიზბარ ნადარაიას ცხოვრება და მოღვაწეობა

წვლილი თანამედროვე მათემატიკური სტატისტიკის განვითარებაში

15 გვ.

ქრონიკა

თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილესთან ზვიად გაბისონიასთან და რექტორის მოადგილესთან კახაბერ ჭეიშვილთან ერთად ქუთაისში თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრს ეწვია.

სტუმრებმა ცენტრის ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს, ადგილზე გაეცნენ სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროცესის პირობებს და განიხილეს ცენტრის შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

რექტორმა ჯაბა სამუშიამ ხაზი გაუსვა პროფესიული ცენტრის როლს რეგიონული განვითარებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაძლიერებაში და აღნიშნა, რომ თსუ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რეგიონში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას: „ქუთაისის პროფესიული განათლების ცენტრი მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა მაღალი ხარისხის განათლება საკუთარ ქალაქში მიიღონ. ჩვენ ვცდილობთ, ადგილობრივ ახალგაზრდებს შევუქმნათ თანამედროვე გარემო, რომელიც მათ ცოდნის, უნარებისა და პროფესიული გამოცდილების მიღებაში დაეხმარება," – განაცხადა რექტორმა.

„პროფესიული განათლება დღეს ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სწორედ ასეთი ცენტრები ქმნიან ძლიერ საფუძველს ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისა და მოქალაქეთა კეთილდღეობისთვის," – განაცხადა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ ზვიად გაბისონიამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიმდინარე წელს ქუთაისსა და თბილისში 18 საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამაზე უკვე სტუდენტების მე-19 ნაკადი მიიღო. რეგიონში ლიდერი უნივერსიტეტი აკადემიურ პროგრამებთან ერთად 2007 წლიდან წარმატებით ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც ყველა ასაკის ადამიანს ახალი პროფესიის შესწავლისა და კარიერული განვითარების საშუალებას აძლევს.

* * *

თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის დეპარტამენტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო სასემინარო კვირეული, რომელიც დაფუძნებული იყო შოთა რუსთაველის ეროვნული

სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტურ კვლევით პროექტზე „ყოფილი ემიგრანტების რეადაპტაციური გამოცდილებებისა და მასთან დაკავშირებული კონზომიერებების კვლევა მშობლიურ საზოგადოებაში დაბრუნების შემდგომ პერიოდში" (FR-22-15319).

სემინარს ორგანიზებას უწევდა პროექტის ხელმძღვანელი, თსუ-ს ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი ლადო გამსახურდია. სემინარის ასევე ხელმძღვანელობდნენ და კონსულტირებას უწევდნენ მსოფლიოში ცნობილი უცხოელი მეცნიერები: იან ვალსინერი – კლარკის უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი და ჯუზეპინა მარსიკო – სალერნოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სასემინარო კვირეულის ფარგლებში მოხსენებები წარადგინეს პროექტთან დაკავშირებული სადოქტორო პროგრამის – „კულტურული პერსონოლოგია, ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია და მიგრაციის კვლევები" – მონაწილეებმა, ასევე დოქტორანტებმა, მკვლევრებმა და ასოცირებულმა პროფესორებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. კვირეულის განმავლობაში ჩატარდა არაერთი ლექცია და დისკუსია უცხოელი პროფესორების მონაწილეობით, რამაც ქართველ სტუდენტებსა და მკვლევრებს მნიშვნელოვანი კვლევითი გამოცდილების მიღებისა და ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობა მისცა.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეზენტაცია გაიმართა საერთაშორისო განათლების ევროპული ასოციაციის (EAIE) ყოველწლიურ გამოფენაზე გოტენბურგში. თსუ-ს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თეა გერგედავამ ევროპის, ამერიკისა და აზიის უნივერსიტეტების წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია თსუ-ს შესახებ, გააცნო ის შესაძლებლობები, რომლებსაც უნ-

ივერსიტეტი სთავაზობს საერთაშორისო სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს მობილობის ფარგლებში.

თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა 50-ზე მეტი შეხვედრა გამართეს მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიზანი არსებულ პარტნიორ უნივერსიტეტებთან მიმდინარე თანამშრომლობის უფრო გაღრმავება და ახალი პარტნიორების მოძიება, ახალი კავშირების დამყარება იყო.

თსუ-ს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენლები სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შეხვდნენ და გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით ახალი შეთანხმებები შედგა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰარვარდის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრა, რომელზეც გადაწყდა, რომ უნივერსიტეტი ექსკლუზიურ ადგილს გამოუყოფს თსუ-ს ჰარვარდის საზაფხულო სკოლაში და სტუდენტების რაოდენობა 7-მდე გაიზრდება. ასევე, გენტის უნივერსიტეტის წარმომადგენლების განცხადებით, თსუ-სთვის გამოიყოფა დაფინანსება „ერასმუს +" ფარგლებში. ფრანკფურტის უნივერსიტეტთან მიღწეული შეთანხმების შედეგად კი თსუ-ს სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ისარგებლებს ამ უნივერსიტეტში მობილობის პროგრამით.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025-2026 სასწავლო წელს განსახორციელებელ პროექტებთან და სიახლეებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტების დეკანები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

შეხვედრის მიზანი იყო ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული საქმიანობის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა.

შეხვედრის განმავლობაში მონაწილეებმა ისაუბრეს საგამოცდო პროცესში არსებულ გამოწვევებზე, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურებში დაგეგმილ ცვლილებებზე, ასევე, აკადემიური კეთილსინდისიერების და კვლევის ეთიკის საკითხებზე. შეხვედრის ფარგლებში განიხილეს უნივერსიტეტის საბიუჯეტო საკითხებიც, ფინანსური რესურსების გამართული მართვა და სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტების ეფექტიანი მხარდაჭერა.

* * *

ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიის განხილვის მიზნით, თსუ-ს რექტორის, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის ზვიად გაბისონიას, ფაკულტეტების დეკანებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების მონაწილეობით შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

ჯაბა სამუშიამ შეხვედრაზე ისაუბრა თსუ-ს ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიის მნიშვნელობაზე, რომელიც უნივერსიტეტის განვითარებასა და თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესების ტრანსფორმაციას უკავშირდება. მან ხაზი გაუსვა, რომ სტრატეგია ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებას და უნივერსიტეტში ინოვაციური და ეთიკური გარემოს შექმნას როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური პერსონალისთვის. გარდა ამისა, ჯაბა სამუშიამ აღნიშნა, რომ თსუ-ს მიზანია ევროპულ გამოცდილებასთან მაქსიმალური დაახლოება და ახალი სტანდარტების დანერგვა, რაც უნივერსიტეტს საშუალებას მისცემს ლიდერი იყოს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რეგიონშიც.

შეხვედრაზე ზვიად გაბისონიამ ისაუბრა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ გაციფრულების პროექტზე, რომელიც გულისხმობს საქართველოში გაცემული დიპლომების ციფრული ასლების გენერირებას და საერთაშორისო აღიარებას.

„ხელოვნური ინტელექტი არის გლობალური გამოწვევა, რომლის მართვაც მოითხოვს პასუხისმგებლიან მიდგომას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ მიმართულებით ერთ-ერთი ლიდერი ხდება საქართველოში, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის განვითარებისთვის," – განაცხადა ზვიად გაბისონიამ.

თსუ პირველი უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში, რომელიც ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიაზე მუშაობს. უნივერსიტეტი ამ მიმართულებით ევროპული რეგულაციების გამოცდილებას ეყრდნობა, განსაკუთრებით ევროკავშირის მიერ 2024 წელს მიღებულ ხელოვნური ინტელექტის აქტს, რომელიც პერსონალური მონაცემების დაცვის მკაცრ სტანდარტებს, რისკების კლასიფიცირებას და განათლების სექტორისთვის საჭირო პასუხისმგებლობების განსაზღვრას მოიცავს.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გერმანიის გიოტინგენის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი მოაწერეს თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ და გიოტინგენის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ვოლფგანგ ბრიუკმა. მემორანდუმი ეფუძნება ბოლო წლებში ორ უნივერსიტეტს შორის

დაწყებულ მჭიდრო ურთიერთობებს და მიზნად ისახავს მედიცინის მიმართულებით სამეცნიერო კვლევების სფეროში გრძელვადიანი და სტრატეგიული თანამშრომლობის განვითარებას. თანამშრომლობის ფარგლებში იგეგმება: სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების განვითარება; აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მოკლევადიანი კურსების ინიცირება; ერთობლივი კვლევითი ჯგუფების ჩამოყალიბება მორფოლოგიის, ნეირომეცნიერების, სამედიცინო ინფორმატიკისა და ციფრული მედიცინის მიმართულებით; ევროპულ სამეცნიერო გრანტებში პარტნიორობა და მონაწილეობა.

მოამზადა თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავ ლიდერია!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წელი 22 სექტემბერს დაიწყო. ახალი სასწავლო წლის (2025-2026) დაწყებას წინ უძღოდა საინფორმაციო შეხვედრები პირველსემესტრელებთან, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხნენ თსუ-ში.

წელს ყველაზე მეტი – 38 263 – არჩევანი თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე გაკეთდა!

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) ინფორმაციით, 2025 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 39 000-მდე აბიტურიენტი დარეგისტრირდა. მათგან ყველაზე მეტმა სწორედ თსუ შემოხაზა!

ასევე ყველაზე მეტის – 8 408 – აბიტურიენტის პირველი არჩევანია თსუ!

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თსუ ნიშნავს საუკეთესო განათლებას, გამოცდილებასა და შესაძლებლობებს!

* * *

ყველაზე მეტმა გრანტოსანმა პირველსემესტრელმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე დაიწყო სწავლა.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2025 წლის

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ყველაზე მეტი 100%-იანი გრანტის მქონე აბიტურიენტი თსუ-ში ჩაირიცხა!

100%-იანი გრანტის მქონე 1 784 აბიტურიენტიდან 624 (35%-ზე მეტი) თსუ-ს სტუდენტი გახდა!

* * *

თსუ-ში ახალი სასწავლო წლის დაწყების პირველსავე დღეს, 22 სექტემბერს, თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია უნივერსიტეტის 7-ივე ფაკულტეტის პირველსემესტრელებს სააქტო დარბაზში ცალცალკე შეხვდა. შეხვედრებს ფაკულტეტების დეკანები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ესწრებოდნენ.

ყველაზე მეტმა გრანტოსანმა პირველსემესტრელმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე დაიწყო სწავლა

რექტორის მილოცვა

**ძვირფასო
პირველსემესტრელებო!**

გილოცავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყებას!

დღეიდან თქვენ აღარ ხართ უბრალოდ სტუდენტები – თქვენ ხართ თსუ-ს დიდი ოჯახის წევრები, ოჯახისა, რომელიც ქმნის ჩვენი ქვეყნის მომავალს, ინახავს წარსულის დიდებას და საქართველოს განვითარების მთავარ საყრდენს წარმოადგენს.

უნივერსიტეტელობა არის არა მხოლოდ დიდი პატივი, არამედ დიდი ტვირთიც. ეს ნიშნავს, რომ თქვენ მიერ მიღებული ცოდნა და გამოცდილება უნდა ემსახუროს ჩვენი ქვეყნის განვითარებასა და საზოგადოებრივ სიკეთეს.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ თქვენი სტუდენტობა იყოს ბედნიერი, საინტერესო და ახალი გამოცდილებით სავსე, რაც დაგეხმარებათ საკუთარი პოტენციალის სრულ რეალიზებაში.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება თსუ-ში!

ქართული ენის სავალდებულო სწავლება – ახალი გამოწვევა და შესაძლებლობა უმაღლეს განათლებაში

თამარ დადიანი

2025 წლის ახალი სასწავლო წლიდან საქართველოს ყველა უნივერსიტეტში ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის ქართული ენის სწავლება სავალდებულო გახდა. პარლამენტის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება უმაღლეს განათლებაში ახალ ეტაპს ქმნის და ქვეყნის განათლების პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულების განმტკიცებას ისახავს მიზნად.

ინიციატივის ავტორები – ენათმეცნიერები ნანა მაჭავარიანი და გიორგი გოგოლაშვილი – მიიჩნევენ, რომ ქართული ენის გაძლიერება უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში არა მხოლოდ ენობრივი ხარვეზების დაძლევას, არამედ სახელმწიფო ენის პოზიციების განმტკიცებასა და ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის საქმესაც ემსახურება. როგორც გოგი გოგოლაშვილი აღნიშნავს, კურსის დანერგვა აუცილებელი იყო, რადგან, სამწუხაროდ, სტუდენტების დიდ ნაწილს უნივერსიტეტში შესვლისას აქვთ სერიოზული პრობლემები ქართულად წერასა და მეტყველებაში (როგორც შიდა, ისე საერთაშორისო კვლევების თანახმად).

ინფორმაციისთვის: ქართული ენის სწავლების ინიციატივა განიხილეს როგორც საქართველოს პარლამენტში (შედეგად შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში), ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინიტროს ეგიდით. შექმნილი იყო კომისია, რომელიც მუშაობდა აღნიშნული მიმართულებით და სწორედ ამ კომისიამ საქმიანობის შედეგების საფუძველზე შეიმუშავა ის ძირითადი მიმართულებები და პირობები, რომელიც დღეს უკვე ასახულია „სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის გავლის წესში“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი საგანმანათლებლო პროგ-

შოთა ფოთოლაშვილი

რამა უკვე ამოქმედდა და ის სასწავლო პროცესის აუცილებელ კომპონენტად იქცა. როგორ დაიძლია სირთულეები, რა მექანიზმებით განხორციელდება პროგრამის ეფექტიანი მართვა და რა სიახლეებს მოუტანს ის სტუდენტებსა და მთლიანად უნივერსიტეტს – ამ საკითხებზე გვესაუბრება თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი შოთა ფოთოლაშვილი.

– რა პრობლემის მოგვარებას ფიქრობენ ახალი ინიციატივით, რა იქნება სავარაუდო შედეგიდა რამდენად მნიშვნელოვანია მისი ეფექტურად განხორციელება?

– „სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის გავლის წესის“ თანახმად, სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს შეეძლება ზეპირი და წერილობითი აკადემიური კომუნიკაციის წარმართვა, სახელმწიფო ენაზე მიღებული აკადემიური და სამეცნიერო შინაარსის ინფორმაციის ანალიზი და პრაქტიკული გამოყენება აკადემიურ და სამეცნიერო საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ხსენებულისა, სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას სიღრმისეულად გაეცნოს – თუ როგორ და როდის შეიძინა ქართულმა ენამ სახელმწიფო ენის, მეცნიერებისა და განათლების, სალიტერატურო ენის ფუნქციები; ასევე გააცნობიეროს ენის როლი და მნიშვნელობა ქართველი ერის კონსოლიდაციისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესში. სწორედ ამ სივრცეების შევსებას ემსახურება სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი და მის ეფექტიანად განხორციელებაზე პირდაპირაა დამოკიდებული ამ შედეგების მიღწევა.

– კონკრეტულად რა უნდა ისწავლონ ბაკალავრიატის სტუდენტებმა?

– სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის თემატიკა მრავალფეროვანია და შეისწავლის როგორც ქართულ ენასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს, ქართული სალიტერატურო ენის/დამწერლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას, ასევე სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პრობლემებს, ენის ნორმებს, მნიშვნელობას, პრინციპებს, ასევე ენის ფუნქციური სტილის საკითხებს და ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიას.

– ქართული ენის სპეციალური კურსის გავლა სწავლების რამდენ საფეხურს მოიცავს, რა ხანგრძლივობის იქნება და რომელი სასწავლო პროგრამის სტუდენტებისთვის გახდება ის სავალდებულო?

– ხსენებული კურსი ინტეგრირდება თსუ-ს ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის სახელმწიფოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში. ყველა ამ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისთვის (2025 წლის 1 აგვისტოს შემდგომ ჩარიცხული) ხსენებული კურსი სავალდებულო ხასიათს ატარებს და მისი ხანგრძლივობა იქნება 1 სემესტრი. როგორც ცნობილია, ხსენებული სტუდენტებისთვის სასწავლო კურსი წაკითხულ უნდა იქნეს პირველი აკადემიური წლის ვადაში, პირველ ან მეორე სემესტრში. აქვე აღსანიშნავია, რომ შესაბამისი წესი იძლევა შესაძლებლობას, რომ ხსენებული კურსის ფარგლებში მოხდეს სხვა სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის მოდიფიცირება და ცხადია, კურსის შემუშავების ფარგლებში, მისი ეფექტურად განხორციელების მიზნით, ეს მიდგომაც გამოვიყენეთ. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის შეთავაზების ვალდებულება ეხება მხოლოდ ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს და არ ეხება უცხოენოვანს.

– როგორი მომზადებული დახვდა თსუ ამ გამოწვევას და რა მოლოდინები გვაქვს პროგრამის წარმატებით განხორციელების მიმართულებით?

– ცხადია, აქტიურად ვიყავით ჩართული პროცესში და ამ ეტაპზე ფაკულტეტებთან კოორდინაციით უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, თუ რომელი ფაკულტეტები სთავაზობენ შემოდგომის სემესტრში სტუდენტებს სასწავლო კურსს. ამ ეტაპზე ასეთი 3 ფაკულტეტია, ხოლო დანარჩენი 4 ფაკულტეტი სტუდენტებს სასწავლო კურსს შესთავაზებს გაზაფხულის სემესტრში. ცხადია, სასწავლო კურსის სილაბუსები უკვე შემუშავებული და დამტკიცებულია იმ ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლებიც უკვე შემოდგომის სემესტრიდან ახორციელებენ კურსს (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტები). აღსანიშნავია, რომ ხსენებული კურსის დროულად და ეფექტურად შემუშავების ნაწილში განსაკუთრებული როლი მიუძღვის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს და მის შესაბამის მიმართულებას.

თსუ-ს სტუმარი შალომ დავიდი თსუ-ს რექტორმა ოქროს მედლით დააჯილდოვა

მაია ტორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზეიმოდ გაიხსნა ინტერდისციპლინური სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ცნობილი მწერლის, ებრაული ფილოსოფიის მკვლევრისა და მთარგმნელის, შალომ დავიდის მოღვაწეობას. ღონისძიება, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი, გადაიქცა იმ სიმბოლურ ხიდად, რომელიც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ქართველი და ებრაელი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას.

კონფერენციის გახსნაზე თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ შალომ დავიდი ქართულ-ებრაული ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის უნივერსიტეტის ოქროს მედლით დააჯილდოვა: „უზომოა ის ღვაწლი, რომელიც შალომ დავიდს მიუძღვის ქართველი და ებრაელი ხალხების ურთიერთობების გაძლიერებაში. მისი წვლილი ქართულ-ებრაული ურთიერთობების კვლევის მიმართულებით ძალიან დიდია. მან მთელი ცხოვრება მიუძღვნა ამ საქმიანობას. სწორედ მისნაირ ადამიანებზე დგას ქართულ-ებრაული ურთიერთობები“, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა შალომ დავიდის განვლილი გზა, მისი სამეცნიერო ღვაწლი და მემკვიდრეობა. „შალომ დავიდი არის ადამიანი, რომელმაც შეძლო ერთდროულად ორი სამყაროს – ქართული და ებრაული კულტურის ჰარმონიული დაკავშირება. იგი არის საზოგადო მოღვაწე, რომელმაც თავისი საქმიანობით დატოვა მნიშვნელოვანი კვალი არა მარტო ისრაელის, არამედ საქართველოს თანამედროვე ცხოვრებაში. მისი ნაღვაწი მხოლოდ წარსულს არ ეკუთვნის, არამედ ეკუთვნის მომავალსაც. იგი იკვლევდა ებრაულ ფილოსოფიას, ღრმად ჩასწვდა ბიბლიურ ტექსტებს და, ამავე დროს, დარჩა ქართველ ებრაელად, ფესვების ერთგულად. საკუთარი ამაგით, რაც ბატონმა შალომმა დასდო ქართული და ებრაული კულტურის დაახლოებას, დაამტკიცა, რომ სულიერება, მეცნიერება და კულტურა საზღვრებს მიღმაა“, – აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

დარეჯან თვალთვაძემ მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორებს, რომ გარდა სხვადასხვა სამეცნიერო დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლების მოხსენებებისა, რომელსაც კონფერენციაზე მოუსმინეს, შალომ დავიდის მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში სტუდენტებსაც მიეცათ მონაწილეობის შესაძლებლობა. მან მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს და განსაკუთრებით გამოკვეთა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის ეკატერინე ნავროზაშვილის წვლილი შალომ დავიდისადმი მიძღვნილი მრავალფეროვანი ღონისძიებების ორგანიზებაში.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე თამარ მახარაშვილი, საქართველოს ენის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენელი თამარ დოლიძე, თბილისის საულიერო აკადემიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, თეოლოგი ცოტნე ჩხეიძე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ სართანია, თსუ-ს პროფესორები – ალექსანდრე კარტოზია და დარეჯან გარდავაძე, ისრაელში საქართველოს საელჩოს მრჩეველი მანანა დუმბაძე, თბილისის დიდი სინაგოგის გაბაი მერაბ ჩანჩალაშვილი, მწერალი გურამ ბათიაშვილი, თსუ-ს ოსური ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ნაირა ბეპიევი, პროფესორი მარინა ჯიქია და სხვები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუმარი შალომ დავიდი გულწრფელი მადლიერებით გამოეხმაურა ღონისძიებას: „ქართველი და ებრაელი ხალხების 26-საუკუნოვანი მეგობრობა ვერ ეტევა შაბლონურ, გაცვეთილ, ფსევდონაციონალურ ურთიერთობებში. ის არ ემორჩილება საზოგადოებრივი განვითარების კანონებსაც კი. დაასახელეთ ისეთი ქვეყანა, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ, სადაც ასეთი ურთიერთობები იყო. უნივერსიტეტის მიერ გადმოცემული ეს ჯილდო მხოლოდ ჩემი არ არის, ეს ებრაელი ხალხისადმი მიძღვნილი ჯილდოა“, – აღნიშნა მან.

ღონისძიებაზე შალომ დავიდმა წაიკითხა საჯარო ლექცია – „ბიბლიისა და თანამედროვე მეცნიერების შეხების წერტილები“.

სამეცნიერო სესიების პარალელურად, თსუ-ს მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო შალომ დავიდის ცხოვრების ამსახველი არქივები, მისი პირადი ნივთები, სამეცნიერო მემკვიდრეობა. ექსპოზიციას ამშვენებდა ქართველი მხატვრის გია გუგუშვილის ნამუშევრები, რომლებიც ძველი აღქმის ერთ-ერთი წიგნის „ქებათა-ქების“ მოტივებზე იყო შექმნილი.

სამეცნიერო კონფერენციის შემდეგ, შალომ დავიდისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, გაიმართა სტუდენტთა XII სამეცნიერო კონფერენცია – „თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა აქტუალური პრობლემები“, რომლის ორგანიზატორიც იყო თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტი, ოთარ ბაქანიძის სახელობის უკრაინისტიკის ცენტრი და ისრაელის ცენტრი.

რა თემატიკა მოიცვა საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც კულტურის კვლევათა ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა

თამარ დადიანი

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევათა ინსტიტუტის ორგანიზებით, 20 სექტემბერს, გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „იდენტობა, მეხსიერება და XX-XXI საუკუნეების ისტორიული ტეხილები“. ღონისძიება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ორგანიზაცია „საქართველოში აკადემიური კვლევების მეგობრები“ (FaRiG) მხარდაჭერით განხორციელდა.

კონფერენცია ჩატარდა სამი მიმდინარე კვლევითი პროექტის ფარგლებში: „ებრაული იდენტობა საქართველოში: საბჭოთა ტრანსფორმაცია (1921-1941)“, „კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირება დამოუკიდებლობის შემდგომ საქართველოში: გმირისა და ანტიგმირის დისკურსი“ და „ილია ჭავჭავაძე: უპირობო ეროვნული გმირი იდენტობის წინააღმდეგობრივ დისკურსებში“. ეს სამივე პროექტი წარმოადგენს ინსტიტუტის პრიორიტეტულ სამეცნიერო მიმართულებებს და მიზნად ისახავს იდენტობის, მეხსიერებისა და ისტორიული ტრანსფორმაციების საკითხების ინტერდისციპლინურ კვლევას, რაც არსებითად უწყობს ხელს როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო აკადემიურ დისკურსში ჩართვას.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა საქართველოდან, გერმანიიდან, ნორვეგიიდან და სლოვენიიდან.

კონფერენციის მიზანი იყო პოლიტიკური ტრანსფორმაციების, იდენტობის, კოლექტიური მეხსიერებისა და კულტურული ტრავმის კვლევის სფეროში დაგროვილი გამოცდილების ურთიერთგაზიარება, პრობლემების რეგიონულ და ტრანსრეგიონულ კონტექსტში გააზრება და ინტერდისციპლინური კვლევების ახალი შესაძლებლობების გამოკვეთა.

როგორც კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, პროფესორმა ნინო ჩიქოვანმა აღნიშნა: „XX-XXI საუკუნე ხასიათდება გარდამტეხი ისტორიული მოვლენებით. ორმა მსოფლიო ომმა, რევოლუციებმა, ცივმა ომმა განაპირობა მსოფლიო წესრიგის არაერთგზის გადასინჯვა. ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს და ბიძგს აძლევს იდენტობისა და კოლექტიური მეხსიერების კონსტრუირება-რეკონსტრუირების მწვავე და წინააღმდეგობრივ პროცესს. ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა, ისევე, როგორც კავკასია, იმ რეგიონთა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც ამ პროცესებმა განსაკუთრებით ინტენსიური სახე მიიღო“.

კონფერენციის პროგრამამ მოიცვა მრავალფეროვანი თემატიკა: მიტია ველიკონიამ (ლიუბლიანას უნივერსიტეტი, სლოვენია) ისაუბრა თემაზე ROCK'N'RETRO – „ახალი იუგოსლავიზმი სლოვენიურ პოპულარულ მუსიკაში“. ირაკლი ჩხაიძემ (თსუ) წარადგინა მოხსენება – „ომები და ჭრილობები: დამარცხების გამოწვევა დამოუკიდებლობის შემდგომ საქართველოში“. სვეტლანა სუვეიკამ (რეგენსბურგის უნივერსიტეტი, გერმანია) წაიკითხა მოხსენება – „ძალადობა, მეხსიერება და იდენტობა: მოლდოვა მსოფლიო ომების ევროპულ გამოცდილებაში“. ნინო ფირცხალავამ (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) წარმოადგინა ნაშრომი – „გერცელ ბააზოვი: სტალინური პერიოდის ქართველი ებრაელი ინტელექტუალის ტრაგიკული ბედის პარადიგმა“. მიხეილ მეფარიშვილმა (თსუ) ისაუბრა თემაზე – „საქართველოს ებრაელების 1920-1930-იანი წლების რეპრესირებული მეხსიერების აღდგენა: პერსონალური ნარატივები“. ფრენკ ჯაკობმა (ნორდის უნივერსიტეტი, ნორვეგია) წარადგინა მოხსენება – „რევოლუციების მეხსიერება: წარსული და თანამედროვეობის კონსტრუირება“. ნატალია მაისოვამ (ლიუბლიანას უნივერსიტეტი, სლოვენია) ისაუბრა თემაზე – „ტრანსმედიური მეხსიერება პოსტ-იუგოსლავიურ ვიდეოთამაშებში“. ნინო ჩიქოვანმა (თსუ) წარადგინა მოხსენება – „გმირების შექმნა: ვინ არიან და რისთვის გვჭირდება ისინი“. ქეთევან კაკიტელაშვილმა (თსუ) წარადგინა მოხსენება – „ქართველ ებრაელთა იდენტობის ევოლუცია მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის პოლიტიკურ რეჟიმებში“. თინათინ სოზიაშვილმა და მარდია დუიშვილმა (თსუ) წარადგინეს ნაშრომი – „გმირი და ანტიგმირი: 1990-იანი წლების პოლიტიკური ფიგურები საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში“.

როგორც ხედავთ, კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები იმ სფეროს ნაწილია, რომელიც აერთიანებს პოლიტიკურ ტრანსფორმაციებს, იდენტობის საკითხებს, კოლექტიურ მეხსიერებასა და კულტურულ ტრავმას. ეს მოხსენებები ინტერდისციპლინურია და მოიცავს პოლიტიკურ მეცნიერებებს, სოციოლოგიას, ანთროპოლოგიას, ისტორიისა და კულტურის კვლევებს.

„პოლიტიკური ტრანსფორმაციების, იდენტობის, კოლექტიური მეხსიერებისა და კულტურული ტრავმის კვლევის სფეროში დაგროვილი გამოცდილების ურთიერთგაზიარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. სხვადასხვა ისტორიული და სოციალური კონტექსტის შედარება მკვლევრებსა და საზოგადოებებს აძლევს საშუალებას – უკეთ გააცნობიერონ საკუთარი ტრავმული გამოცდილება და იდენტობის ტრანსფორმაციის გზები. გამოცდილების გაცვლა ხელს უწყობს კრიტიკული დიალოგის ჩამოყალიბებას, ახალი ინტერპრეტაციული ჩარჩოების აღმოჩენას და მეხსიერების პოლიტიკის ფორმირების პროცესში ინოვაციური მიდგომების დამკვიდრებას, რაც საბოლოოდ აძლიერებს შერიგების, თანამშრომლობისა და კოლექტიური თვითშეგნების განვითარების შესაძლებლობებს“, – განაცხადა პროფესორმა ნინო ჩიქოვანმა.

და მართლაც, ღონისძიება იქცა ფართო აკადემიურ დისკუსიად, რომელმაც არა მხოლოდ წარსულის ტრავმული გამოცდილების გააზრების ახალი კუთხეები წარმოაჩინა, არამედ საფუძველი ჩაუყარა სამომავლო თანამშრომლობას ქართველ და უცხოელ მეცნიერებს შორის. მსგავსი ფორმატის შეხვედრები ადასტურებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აქტიურ ჩართულობას მსოფლიო სამეცნიერო სივრცეში და ხაზს უსვამს იმას, რომ იდენტობის, მეხსიერებისა და კულტურული ტრავმის კვლევა მხოლოდ ფართო საერთაშორისო დიალოგის ფარგლებში შეიძლება სრულფასოვნად განხორციელდეს და რომ მხოლოდ ფართო ინტეგრაციითა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებით არის შესაძლებელი ზემოთ აღნიშნული კომპლექსური თემების სრულფასოვანი გააზრება.

1927 წლიდან
თბილისის უნივერსიტეტი

სტუდენტური ფურცელი

წარმატებით დასრულდა FPV დრონების პილოტირების შემსწავლელი კურსი

თსუ-ს ხელმძღვანელობა კურსის შედეგებს გაეცნო

6 გვ.

შეხვედრა ჰარვარდის საზაფხულო სკოლის კურსდამთავრებულებთან

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ წარმოგიდგენთ ჰარვარდის საზაფხულო სკოლის კურსდამთავრებულებს

10-11 გვ.

სიახლე მედიცინის ფაკულტეტიდან, რაც სტუდენტებს გაახარებთ

თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები პედიატრიის სწავლებას ახალ კლინიკაში გაივლიან

12 გვ.

gazeti.tsu.ge

სტუდენტური ამბების ქრონიკა

თსუ რექტორმა აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ პირველსემესტრელ სტუდენტებთან გაცნობითი შეხვედრა გამართა. შეხვედრის მიზანს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის დათვალიერება და სტუდენტური შესაძლებლობების გაცნობა წარმოადგენდა.

რექტორი სტუდენტებს ესაუბრა საუნივერსიტეტო მენეჯმენტსა და სტუდენტების ჩართულობის გზებზე, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებზე, სახელმძღვანელოებსა და სხვა სასწავლო რესურსებზე, ასევე საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე წვდომის შესაძლებლობაზე. გარდა ამისა, ისაუბრა სტუდენტურ ცხოვრებაზე, უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ პროექტებსა და სხვა ინიციატივებზე, რომლებიც სტუდენტთა პროფესიულ და აკადემიურ განვითარებას უწყობს ხელს.

„გვაქვს ამბიცია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდეს კიდევ უფრო უკეთესი – როგორც განათლების, ისე მეცნიერებისა და სტუდენტური ცხოვრების კუთხით. ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ თსუ-ს სტუდენტები სრულფასოვნად იყენებდნენ ყველა რესურსს, იღებდნენ საერთაშორისო გამოცდილებას და აქტიურად მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის განვითარებაში. თქვენი ენერგია და ინიციატივა ის ძალაა, რომელიც უნივერსიტეტს ახალ სიმაღლეებზე აიყვანს“, – განაცხადა თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ.

შეხვედრის ბოლოს რექტორმა სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა.

ღონისძიება თსუ-ს სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა.

* * *

თსუ სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების ცენტრის ორგანიზებით პირველსემესტრელებისთვის საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა.

შეხვედრებზე პირველსემესტრელ სტუდენტებს უნივერსიტეტის სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მიაწოდეს ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ.

სტუდენტები გაეცნენ მათ უფლებამოვალეობებს, სასწავლო პროცესის მხარდამჭერ სერვისებსა და სტიპენდიებს, ხარისხის განვითარების მექანიზმებსა და სტუდენტთა ჩართულობას, საუნივერსიტეტო გაცვლით პროგრამებს, კარიერის მხარდამჭერ სერვისებს, ინფორმაციას საერთო საცხოვრებლების, სტუდენტური პროექტებისა და სტარტაპების, საინტერესო საუნივერსიტეტო კულტურული და სპორტული აქტივობების შესახებ.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრმა საქართველოს უპილოტო ტექნოლოგიების ასოციაციასთან თანამშრომლობით წარმატებით დაასრულა FPV დრონების პილოტირების შემსწავლელი კურსი, რომელიც სტუდენტებს უპილოტო საფრენი აპარატების ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შეძენას სთავზობს.

კურსის ფარგლებში მონაწილეებმა შეისწავლეს როგორც თეორიული საფუძვლები, ასევე პრაქტიკული ნაწილი.

კურსდამთავრებული სტუდენტები შეძლებენ დამოუკიდებლად მართონ FPV დრონი, დიაგნოსტირება გაუკეთონ ტექნიკურ პრობლემებს და მონაწილეობა მიიღონ კონკურსებსა და ინოვაციურ პროექტებში.

კურსის დახურვის ღონისძიება გაიმართა საქართველოს უპილოტო საფრენი აპარატების ფედერაციის საფრენ ბაზაზე, სადაც კურსდამთავრებულებმა მიიღეს სერტიფიკატები. ცერემონია დასრულდა საჩვენებელი ფრენებით, რომელზეც სტუდენტებმა პრაქტიკაში წარმოაჩინეს შეძენილი უნარები.

ღონისძიებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, საქართველოს უპილოტო ტექნოლოგიის ასოციაციის წარმომადგენლები და სტუდენტები დაესწრნენ.

თსუ-ს ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი აგრძელებს დრონების ლაბორატორიის განვითარებას და ამ კუთხით საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებას, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა უახლეს ტექნოლოგიებსა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე.

* * *

ანაკლიის ახალგაზრდულმა ბანაკმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს უმასპინძლა. თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია

და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გივი მიქანაძე ანაკლიის ახალგაზრდულ ბანაკს ესტუმრნენ, სადაც წელს თსუ-ს 250-მდე სტუდენტი იმყოფებოდა.

სტუდენტებთან შეხვედრისას მინისტრმა და თსუ-ს რექტორმა ისაუბრეს უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ტექნოლოგიების, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის, ინტეგრაცია სასწავლო პროცესში, თანამედროვე სტუდენტური ინფრასტრუქტურის განვითარება, ქართული ენის სწავლების გაძლიერების გზები, ევროპასთან გაცვლითი პროგრამები და ახალგაზრდების სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობები.

საუბარი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევდა, მათთვის მნიშვნელოვან თემებზე მინისტრისგან და უნივერსიტეტის რექტორისგან ამომწურავი ინფორმაცია მიეღოთ.

სტუდენტებთან შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს წარმომადგენლები.

ანაკლიის ახალგაზრდულ ბანაკში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ერთი კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ, სადაც საგანმანათლებლო, სპორტულ და კულტურულ აქტივობებში მიიღეს მონაწილეობა.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგი სტუდენტები რეჯეფ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის (თურქეთი) ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების ქართველოლოგ სტუდენტებთან ერთად თურქული ენის საზაფხულო ბანაკში მონაწილეობდნენ.

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თურქოლოგიის მიმართულების ორგანიზებით ჩატარებული ღონისძიების ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ გაეუმჯობესებინათ პრაქტიკული თურქული ენის ცოდნა და უკეთ გაეცნოთ თურქული კულტურა, ისტორია, ეთნოგრაფია.

ინტერკულტურული ბანაკის მიზანია დაეხმაროს ორი მეგობარი ქვეყნის სტუდენტებს სოციალიზაციაში, ახალი კონტაქტების დამყარებაში, შესასწავლი ენის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში, კულტურული მრავალფეროვნების უკეთ გაცნობასა და, რაც მთავარია, ერთობლივი სტუდენტური კვლევითი პროექტების დაგეგმვაში.

ბანაკის პროგრამა შედგებოდა ორი ნაწილისგან: შემეცნებითი და კულტურული. სხვადასხვა თემაზე მომზადებულ ლექციებთან ერთად მსმენელებს ყოველდღიურად უტარდებოდათ პრაქტიკული გაკვეთილები საკომუნიკაციო ქართულ და თურქულ ენებში, რომლებსაც უძღვებოდნენ როგორც ქართველი, ისე თურქი პროფესორები.

საზაფხულო ბანაკის მხარდამჭერები იუნუს ემრეს თურქული კულტურის ცენტრი და საქართველოში თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია (GURTIAD) იყვნენ.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები კვლევითი პროექტის ფარგლებში გაეცნენ „ამბასადორი აილენდ ბათუმის“ ორი ხელოვნური ნახევარკუნძულისა და ხელოვნური კუნძულის მშენებლობისა და მიწის მოწყობის პროცესს.

15 სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფი ბათუმში შეხვდა პროექტის ხელმძღვანელებს, რომელთაც სტუდენტებს ადგილზე დაათვალიერებინეს და გააცნეს მიმდინარე სამუშაოები. თსუ-ს კვლევითი პროექტის ხელმძღვანელია დოქტორანტი ირმა მაკალათია.

კუნძულის პროექტს „ამბასადორი ჯგუფი“ სხვადასხვა საერთაშორისო კომპანიასთან თანამშრომლობით ახორციელებს. „ამბასადორი აილენდ ბათუმი“ ორი ხელოვნური ნახევარკუნძულისა და ერთი ხელოვნური კუნძულის 84 ჰექტარზე, ზღვაში ფორმირებას ისახავს მიზნად. სამუშაოები მდგრადი განვითარებისა და ჭკვიანი ქალაქის პრინციპების სრული დაცვით ვითარდება.

„ამბასადორი აილენდ ბათუმის“ პროექტის ხელმძღვანელების განცხადებით, პროექტს როგორც ტურისტული, ასევე რეგიონისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური დანიშნულება გააჩნია, რაც ბათუმსა და, ზოგადად, საქართველოს მსოფლიოს ახალ საინვესტიციო რუკაზე მოახვედრებს.

მოამზადა თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა

გამორჩეული პირველსემესტრელი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან

ნინო ჯაჯულია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ლუკა ტაბიძე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველსემესტრელ სტუდენტებს შეხვდნენ და სწავლის დაწყება მიულოცეს. შეხვედრაზე თსუ-ს რექტორმა და ფაკულტეტის დეკანმა დააჯილდოვეს 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩარიცხული ყველაზე მაღალქულიანი პირველსემესტრელი სტუდენტი თამარ მეზვრიშვილი.

თამარმა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულება აირჩია. მას ყველასგან ესმოდა, რომ სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიძენს კვალიფიციურ ცოდნას. მისი მიზანია საკუთარი უნარების განვითარება, რათა სამომავლოდ გამოიყენოს ისინი ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი საქმისთვის.

შეხვედრა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, დარეჯან თვალთვაძე, პროგრამის ხელმძღვანელი გიული შაბაშვილი და თვითმმართველობის პრეზიდენტი ლუკა ტაბიძე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პირველსემესტრელ სტუდენტებს შეხვდნენ და სწავლის დაწყება მიულოცეს.

„ჩვენ ერთი ქვეყნის შვილები ვართ და გვაქვს ამბიცია, რომ ეს ქვეყანა უკეთესი გავხადოთ. აქ ერთად ვიწყებთ ფიქრს, თუ როგორი უნდა იყოს ხვალინდელი დღე“.

შეხვედრაზე თსუ-ს რექტორმა და ფაკულტეტის დეკანმა დააჯილდოვეს 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული ყველაზე მაღალქულიანი პირველსემესტრელი სტუდენტები: ანნა დავითიან და გულაი ასლანოვა.

გამორჩეული პირველსემესტრელი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტიდან

ნინო ჯაჯულია

შეხვედრაზე თსუ-ს რექტორმა და ფაკულტეტის დეკანმა დააჯილდოვეს 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩარიცხული ყველაზე მაღალქულიანი პირველსემესტრელი სტუდენტი ქეთევან ტვილდიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი მზია წერეთელი და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ლუკა ტაბიძე ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველსემესტრელ სტუდენტებს შეხვდნენ და სწავლის დაწყება მიულოცეს.

შეხვედრაზე თსუ-ს რექტორმა და ფაკულტეტის დეკანმა დააჯილდოვეს 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩარიცხული ყველაზე მაღალქულიანი პირველსემესტრელი სტუდენტი ქეთევან ტვილდიანი.

ქეთევანმა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მიმართულება აირჩია. „ვფიქრობ, რომ საქართველოში თსუ ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტია. ფაკულტეტი, რომელზეც უნდა ვისწავლო, უნივერსიტეტის გახსნის წლიდანვე დაარსდა და დიდი ხანია ვითარდება. ამიტომ ვთვლი, რომ ამ დარგში საუკეთესო განათლებას სწორედ აქ მივიღებ“, – ამბობს ქეთევან ტვილდიანი. მას

სურს, რომ ჰქონდეს საინტერესო სტუდენტური წლები და სრულად გამოიყენოს ის შესაძლებლობები, რომლებსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს.

„როგორც საორიენტაციო შეხვედრიდან გავიგე, უნივერსიტეტში არაერთი საინტერესო და შემეცნებითი კლუბი არსებობს და ვფიქრობ, რომ ეს ხელს შეუწყობს ჩემი სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნებას. ჩემი სამომავლო გეგმა, პირველ რიგში, უკავშირდება საკუთარი თავისა და შესაძლებლობების სრულად გამოყენებას. ასევე დიდი სურვილი მაქვს – საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ვისწავლო“, – აღნიშნავს ქეთევან ტვილდიანი, რომელიც უკვე შეუდგა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლას.

გამორჩეული პირველსემესტრელი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან

ნინო ჯაჯულია

ანი ნოზაძეს ბევრი სამომავლო გეგმა აქვს. ამ ეტაპზე უნივერსიტეტის წარჩინებით დასრულება უნდა და ამბობს: „მინდა, ვისწავლო, რაც შეიძლება მეტი, ჩემი ცოდნა პროფესიაში გადავიტანო და მომეცეს საშუალება – ახლოდან გავეცნო ბიზნესის სფეროს, ასევე დიდი სურვილი მაქვს გაცვლითი პროგრამით წავიდე უცხოეთში და ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცნო“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ლუკა ტაბიძე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პირველსემესტრელ სტუდენტებს შეხვდნენ და სწავლის დაწყება მიულოცეს. შეხვედრაზე თსუ-ს რექტორმა და ფაკულტეტის დეკანმა დააჯილდოვეს 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩარიცხული ყველაზე მაღალქულიანი პირველსემესტრელი სტუდენტი ანი ნოზაძე.

ანიმ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება აირჩია. „ჩემთვის პრიორიტეტს ხარისხიანი განათლება და განვითარების შესაძლებლობები წარმოადგენს. შესაბამისად, მინდოდა ისეთ უნივერსიტეტში ჩაბარება, რომელსაც კარგად გაწერილი სასწავლო გეგმა და გაცვლითი პროგრამების მრავალფეროვანი არჩევანი ექნებოდა. უნივერსიტეტი, რომელიც ყველაზე კარგად ერგებოდა ამ კრიტერიუმებს, სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო“, – აღნიშნავს ანი ნოზაძე.

ანის არ გასჭირვებია, როგორც პირველსემესტრელს, უნივერსიტეტში რეგისტრაციების გავლა. იგი კმაყოფილია, რომ კარგად დააკვალიანეს. „თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ კუთხით ნამდვილად გამოსარჩევია. აუცილებლად აღსანიშნავია საორიენტაციო შეხვედრები, რომლებმაც საშუალება მოგვცა ახლოდან გაგვეცნო სტუდენტური ცხოვრება; ასევე დასაფასებელია მაღალკურსელთა აქტიურობა, ისინი პასუხობდნენ ჩვენს ნებისმიერ შეკითხვას და გვაძლევდნენ სასარგებლო რჩევებს“, – ამბობს ანი.

სანამ უნივერსიტეტში ჩააბარებდა, მანამდეც მუდმივად ახლის ძიებაში იყო. „სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე, მუდმივად ვმონაწილეობდი სხვადასხვა ტიპის ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში ქართულ და უცხოურ ენაზე, რომლებშიც, ძირითადად, მე ვიყავი ლიდერი და ბევრი კრეატიული იდეის ავტორი; ეროვნული გამოცდებიც მაღალი ქულებით ჩავაბარე, თუმცა, პირად წარმატებად სწავლის პროცესს უფრო ვთვლი... ბედნიერი ვარ იმით, თუ რამდენად განვვითარდი, ვიპოვე ბალანსი სწავლასა და გართობას შორის, მიყვარს როგორც ტექნიკური, ასევე ჰუმანიტარული საგნები და ხელოვნების ბევრ ასპექტში გამოვხატავ საკუთარ თავს. პირად წარმატებად ვთვლი იმასაც, რომ ეროვნულ გამოცდებზე ნერვიულობის ფაქტორი არ მქონია. გამოცდისწინა მღელვარება დადებით ტალღად და მოტივაციის წყაროდ ვაქციე, მასალა კი ვისწავლე ისე, რომ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მჯეროდა“, – აღნიშნავს ანი ჩვენთან საუბარში.

ანი ნოზაძეს ბევრი სამომავლო გეგმა აქვს. ამ ეტაპზე უნივერსიტეტის წარჩინებით დასრულება უნდა და ამბობს: „მინდა, ვისწავლო, რაც შეიძლება მეტი, ჩემი ცოდნა პროფესიაში გადავიტანო და მომეცეს საშუალება – ახლოდან გავეცნო ბიზნესის სფეროს, ასევე დიდი სურვილი მაქვს გაცვლითი პროგრამით წავიდე უცხოეთში და ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცნო“.

გამორჩეული პირველსემესტრელი იურიდიული ფაკულტეტიდან

ნინო ჯაჯულია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თამარ ზარანდია და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ლუკა ტაბიძე იურიდიული ფაკულტეტის პირველსემესტრელ სტუდენტებს შეხვდნენ და სწავლის დაწყება მიულოცეს. შეხვედრაზე თსუ-ს რექტორმა და ფაკულტეტის დეკანმა დააჯილდოვეს 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე ჩარიცხული ყველაზე მაღალქულიანი პირველსემესტრელი სტუდენტი მარიამ ანჯაფარიძე.

მარიამმაიურიდიულ ფაკულტეტზესამართლის მიმართულება აირჩია. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული განათლება ეფუძნება სამართლის სწავლების მდიდარ ტრადიციებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. თსუ-ს სამართლის სკოლა ყველაზე მაღალრეიტინგულია საქართველოში, რასაც განაპირობებს აკადემიური პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია. გარდა ამისა, თსუ თანამშრომლობს 150-ზე მეტ ევროპულ უნივერსიტეტთან, რაც საშუალებას მომცემს, ჩავერთო საერთაშორისო მობილობის

„ვფიქრობ, თსუ-სა და სხვა სასწავლებლებში მიღებული ცოდნა დამეხმარება პროფესიულ წინსვლასა და საკუთარი თავის რეალიზაციაში. იმედი მაქვს, შევძლებ საკუთარი მცირე წვლილი შევიტანო საქართველოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს, შემდგომ განვითარებაში“, – ამბობს მარიამი, რომელიც იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლას უკვე შეუდგა

პროექტებში“, – აღნიშნავს მარიამ ანჯაფარიძე. მისთვის უნივერსიტეტში მისვლის პირველივე დღეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის კეთილგანწყობა და მეგობრული გარემო, რომელიც იურიდიულ ფაკულტეტზე დახვდა.

მარიამს სჯერა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიძენს იმ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს, რომლებიც მაღალი კვალიფიკაციის იურისტისთვის აუცილებელია. „მინდა, სწავლის პროცესი საინტერესო და პროდუქტიული იყოს. ვფიქრობ, სტუდენტობის პერიოდში დამყარებული ურთიერთობები მნიშვნელოვანი იქნება შემდგომი პროფესიული საქმიანობისთვის. ჩემი ყველაზე დიდი მოლოდინი კი უცხოეთში სწავლის გაგრძელის პერსპექტივებს უკავშირდება. დიდი სურვილი მაქვს, პროფესიული განათლების მიღების პარალელურად, ჩავერთო იმ სამეცნიერო, კულტურულ და სპორტულ პროექტებსა და აქტივობებში, რომელთაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს. ვფიქრობ, ჩემი სტუდენტური ცხოვრება საინტერესო და ხალისიანი იქნება“, – ასეთი მოლოდინები აქვს მარიამ ანჯაფარიძეს, რომელიც ბაკალავრიატის საფეხურის დასრულების შემდეგ სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში ევროპის რომელიმე წამყვან უნივერსიტეტში გეგმავს.

„ვფიქრობ, თსუ-სა და სხვა სასწავლებლებში მიღებული ცოდნა დამეხმარება პროფესიულ წინსვლასა და საკუთარი თავის რეალიზაციაში. იმედი მაქვს, შევძლებ საკუთარი მცირე წვლილი შევიტანო საქართველოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს, შემდგომ განვითარებაში“, – ამბობს მარიამი, რომელიც იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლას უკვე შეუდგა.

გამორჩეული პირველსემესტრელი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან

ნინო ჯაჯულია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი სალომე დუნდუა და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ლუკა ტაბიძე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველსემესტრელ სტუდენტებს შეხვდნენ და სწავლის დაწყება მიულოცეს. შეხვედრაზე თსუ-ს რექტორმა და ფაკულტეტის დეკანმა დააჯილდოვეს 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩარიცხული ყველაზე მაღალქულიანი პირველსემესტრელი სტუდენტი ანასტასია მურჯიკნელი. ანასტასიამ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულება აირჩია.

ანასტასიამ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულება აირჩია

„ბავშვობიდანვე ვიცოდი, რომ თსუ-ში ჩავაბარებდი. ყოველთვის მინდოდა დედაჩემის ნაბიჯებს გავყოლოდი და ეს პატარა ტრადიცია გამეგრძელებინა (ისიც აქ სწავლობდა და ამჟამადაც უნივერსიტეტის თანამშრომელია); ასევე,

რა თქმა უნდა, თსუ იმიტომ ავირჩიე, რომ ჩემი მიმართულებით ეს უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანია რეგიონში“, – ამბობს ანასტასია. როგორც თავად ამბობს, მას, როგორც პირველსემესტრელს, საუნივერსიტეტო სივრცის ათვისებაში ძალიან დაეხმარნენ სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომლებიც მის ყველა კითხვას სრულყოფილად პასუხობდნენ.

საკუთარ წარმატებად ანასტასიას მიზნის მისაღწევად სირთულეებისა და შიშების დაძლევა მიაჩნია. მიზნები კიდევ ბევრია აქვს. მას სურს აქტიურად ჩაერთოს გაცვლით პროგრამებში, საინტერესო პროექტებსა და ღონისძიებებში, რომლებსაც თსუ სტუდენტებს სთავაზობს. „სტუდენტური ცხოვრების განმავლობაში მინდა ყოველდღე ვიყო აქტიური, დატვირთული და პროდუქტიული, რათა მაქსიმალურად გამოვიყენო ყველა შესაძლებლობა, რომელსაც თსუ გვაძლევს“, – აღნიშნავს ანასტასია მურჯიკნელი, რომელსაც სჯერა, რომ განათლებით და შრომისმოყვარეობით შეძლებს არა მხოლოდ პირადი მიზნების მიღწევას, არამედ საზოგადოების განვითარებაშიც კუთვნილი წვლილის შეტანას.

გამორჩეული პირველსემესტრელი მედიცინის ფაკულტეტიდან

ნინო ჯაჯულია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი მაია ბიწკინაშვილი და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ლუკა ტაბიძე მედიცინის ფაკულტეტის პირველსემესტრელ სტუდენტებს შეხვდნენ და სწავლის დაწყება მიულოცეს. შეხვედრაზე თსუ-ს რექტორმა და ფაკულტეტის დეკანმა დააჯილდოვეს 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მედიცინის ფაკულტეტზე ჩარიცხული ყველაზე მაღალქულიანი პირველსემესტრელი სტუდენტი დავით ჩადუნელი.

„პირველ რიგში, ვიტყვი იმას, რომ ჩემთვის დიდი პატივია – ვიყო ერთ-ერთი წარმატებული პირველსემესტრელი. ჩემი აზრით, ეს ჩემი თავდაუზოგავი

„პირველ რიგში, ვიტყვი იმას, რომ ჩემთვის დიდი პატივია – ვიყო ერთ-ერთი წარმატებული პირველსემესტრელი. ჩემი აზრით, ეს ჩემი თავდაუზოგავი შრომისა და მიღწეული შედეგის დამსახურებაა“, – ამბობს დავით ჩადუნელი

შრომისა და მიღწეული შედეგის დამსახურებაა“, – ამბობს დავით ჩადუნელი.

როგორც ყველა აბიტურიენტს, თავიდან მასაც გაუჭირდა არჩევანის გაკეთება – თუ რომელ უნივერსიტეტში გააგრძელებდა სწავლას. როგორც ამბობს, ბევრჯერ შეიცვალა აზრი, თუმცა საბოლოოდ თსუ აირჩია. „ეს უნივერსიტეტი იყენებს სწავლების იმ მეთოდებს, რომელიც ჩემთვის ყველაზე მოსახერხებელია და, ამავდროულად, გვაძლევს შანსს – გამოვცადოთ საუკეთესო სტუდენტური ცხოვრება“, – ასეთი მოლოდინები აქვს დავითს, რომელსაც უნივერსიტეტში შემობიჯებისთანავე გაუმართლეს იმედები. „უნდა აღვნიშნო, რომ მაღალკურსელები ყველა პირველკურსელს შეგვხვდნენ კეთილგანწყობით. სწავლის დაწყებამდე ყოველდღე გვაძლევდნენ რჩევებს სწავლასთან დაკავშირებით და ყველანაირად ცდილობდნენ ჩვენში გაენელებინათ ის შიში, რომელიც ყველა პირველკურსელს აქვს სწავლის დასაწყისში“, – ამბობს დავითი.

სამომავლო გეგმებზე საუბრისას დავით ჩადუნელი აღნიშნავს: „ჯერჯერობით გეგმაში მაქვს ბაკალავრიატის პროგრამის საქართველოში დამთავრება. რა თქმა უნდა, თუ შანსი მომეცემა, აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას გაცვლით პროგრამაში, თუმცა მინდა, რომ რეზიდენტურა არა საქართველოში, არამედ გერმანიაში გავიარო და დავეუფლო სასურველ მიმართულებას“.

გამორჩეული პირველსემესტრელი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან

ნინო ჯაჯულია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი პეტრე ბაბილუა და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ლუკა ტაბიძე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველსემესტრელ სტუდენტებს შეხვდნენ და სწავლის დაწყება მიულოცეს. შეხვედრაზე თსუ-ს რექტორმა და ფაკულტეტის დეკანმა დააჯილდოვეს 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩარიცხული ყველაზე მაღალქულიანი პირველსემესტრელი სტუდენტი ლია ერემაშვილი.

ლია ერემაშვილმა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულება აირჩია. „თსუ სახელგანთქმულია მდიდარი ისტორიითა და გამოცდილი ლექტორებით, იგი ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტია, განსაკუთრებით ფიზიკის მიმართულებით. ჩემი ყურადღება საინტერესო და მრავალფეროვანმა სასწავლო პროგრამამ მიიპყრო, რადგან უნივერსიტეტი სიღრმისეულ ცოდნას მთავაზობს ფიზიკის მიმართულებით. უნივერსიტეტს გასული საუკუნიდან

თვლის, რომ თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტიდან, როგორც პირველსემესტრელი, გამოარჩიეს 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგით, რადგან ფაკულტეტზე ჩარიცხულთა შორის მას საუკეთესო საკონკურსო ქულა ჰქონდა. ქართულში, ინგლისურსა და ფიზიკაში თითქმის უმაღლესი ქულა აიღო, ხოლო მათემატიკაში – მაქსიმალური

დღემდე უამრავი გამოჩენილი ფიზიკოსი ჰყავს აღზრდილი, მრავალი დიდი მეცნიერისთვის უმასპინძლია და აქვს კავშირები საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებთან. მეც მინდა ამ ისტორიის ნაწილი ვიყო და მჯერა, რომ თსუ-ს პროფესორები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ ფიზიკოსთა წარმატებული ახალი თაობის აღსაზრდელად“, – ამბობს ლია.

ლია ერემაშვილმა სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. როგორც თავად ამბობს, ბავშვობიდან ბეჯითად სწავლობდა და მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ოლიმპიადასა და კონკურსში. იგი 2023-2024 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ერთ-ერთი გამარჯვებულია ინგლისურ ენაში. ამჟამად წარჩინებით სწავლობს მუსიკალურ სკოლაში ფორტეპიანოს სპეციალობით.

თვლის, რომ თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტიდან, როგორც პირველსემესტრელი, გამოარჩიეს 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგით, რადგან ფაკულტეტზე ჩარიცხულთა შორის მას საუკეთესო საკონკურსო ქულა ჰქონდა. ქართულში, ინგლისურსა და ფიზიკაში თითქმის უმაღლესი ქულა აიღო, ხოლო მათემატიკაში – მაქსიმალური.

პირველსემესტრელს არ გასჭირვებია უნივერსიტეტში თავისი ფაკულტეტის შესახებ ინფორმაციის მიღება. „უნივერსიტეტში რეგისტრაციასა და სწავლასთან დაკავშირებით ინფორმაცია ჩემთვის ხელმისაწვდომი იყო თსუ-ს ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელებში, თან ჩატარდა არაერთი საინფორმაციო შეხვედრა. საჭირო ინფორმაცია სრულყოფილად მომაწოდეს“, – აღნიშნავს ლია.

ლია ერემაშვილს დიდი სურვილი აქვს, გაიცნოს მასსავით მონდომებული სტუდენტები, რომლებსაც ასევე უყვართ და აინტერესებთ ფიზიკა და მათემატიკა. მის სამომავლო გეგმებში შედის ჯერ კიდევ ბაკალავრიატის დონეზე კვლევებში ჩართვა და კონფერენციებში მონაწილეობა, ხოლო ბაკალავრიატის შემდგომ უცხოეთში სწავლის გაგრძელება მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში თეორიული ფიზიკის რომელიმე მიმართულებით.

„მინდა, ვისწავლო ლექტორებისგან, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას გამიზიარებენ. ამასთან ერთად, თსუ-ს ბიბლიოთეკის კარი ჩემთვის ღია იქნება და იმედი მაქვს, რომ ამ რესურსებს მაქსიმალურად გამოვიყენებ“, – აღნიშნავს ლია ერემაშვილი, რომელიც უნივერსიტეტის პირველ კურსზე უკვე შეუდგა სწავლას.

უნივერსიტეტში 100%-იანი გრანტით მოხვედრილი ლიზი ნებიერიძის ქარიზმატული იდეები

პროფილი

ნინო ჯაჯულია

„პატარა ელჩი საქართველოდან“ – ასე მოიხსენიებდნენ ლიზის ამერიკაში, სადაც მან, FLEX პროგრამის ფარგლებში, ერთი აკადემიური წელი გაატარა, სანამ უნივერსიტეტში ჩააბარებდა.

ერთმა პატარა ქართველმა ამერიკელებს ლამის მთელი საქართველო გააცნო და ჩვენს ქვეყანაზე ბევრს საოცარი წარმოდგენა შეუქმნა. მასზე ადგილობრივ გაზეთებშიც დაიწერა და ის ოჯახიც გაახარა ამერიკაში, სადაც ერთი წელი შვილობილად მიიღეს. აი, რას ჰყვება თავის პირველ დიდ გამოცდილებაზე ლიზი ნებიერიძე: „ჩემთვის ყველაზე დიდი პირადი წარმატება იყო FLEX პროგრამაში გამარჯვება და გაცვლით სტუდენტად აშშ-ში ერთი აკადემიური წლის გატარება. ბავშვობიდან მიზნად მქონდა დასახული საზღვარგარეთ სწავლა და სწორედ ამ პროგრამამ მომცა ამის შესაძლებლობა. რთული და მრავალსაფეხურიანი კონკურსის შემდეგ პირველივე ცდაზე მოვახერხე გამარჯვება და მეთერთმეტე კლასი ოჰაიოში გავატარე. ამ გამოცდილებამ არა მხოლოდ აკადემიური, არამედ პიროვნული განვითარებაც შემაძლებინა – მასწავლა დამოუკიდებლობა, შემძინა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და უკეთ გავითავისე სხვათა კულტურაც. ამასთან, მოვახერხე მონაწილეობა მიმეღო CEW (Civic Education Workshop) პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც ამერიკის სამოქალაქო განათლების შესახებ ცოდნა გავიღრმავე. განსაკუთრებით კი იმით ვარ ამაყი, რომ ამერიკაში ყოფნისას ორჯერ დაიწერა ჩემზე სტატია ადგილობრივ გაზეთში, რომლის საშუალებითაც ჩემი ქვეყნის შესახებ ბევრ ადამიანს მივაწოდე ინფორმაცია. ამას ვთვლი არა მხოლოდ პირად, არამედ

პატარა პროფესიულ წარმატებადაც, რადგან შევძელი საქართველოს გაცნობა საზღვრებს მიღმა მცხოვრებთათვის“, – ამბობს ლიზი.

ლიზი ნებიერიძე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა და 100%-იანი გრანტით ჩაირიცხა იურიდიულ ფაკულტეტზე. ამბობს, რომ თსუ-ს ისტორია და ტრადიციები მისთვის ყოველთვის საინტერესო იყო: „თსუ საქართველოს ყველაზე გავლენიანი, უდიდესი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტია. ვიცი, რომ ამ უნივერსიტეტმა არაერთი დიდი პიროვნება აღზარდა, რომლებმაც ქვეყნის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. მინდოდა მეც ამ გარემოს ნაწილი გავმხდარიყავი, მიმეღო საუკეთესო აკადემიური გამოცდილება და მესწავლა იმ ახალგაზრდებთან ერთად, ვისაც საზოგადოების შეცვლა სურს“.

ლიზის, როგორც პირველსემესტრელს, არ გასჭირვებია საუნივერსიტეტო გარემოში თავის დამკვიდრება, თუ შეიძლება ასე ითქვას. ის აქედანვე მოხიბლულია უნივერსიტეტის სივრცეში პირველივე დღეებიდანვე შეთავაზებული იმ სიახლეებით, რაც სწრაფადვე აითვისა. მისი თქმით, ლექტორები და ადმინისტრაცია მზად იყვნენ პირველსემესტრელების ყველა კითხვაზე პასუხის გასაცემად. „მართალია, ახალ გარემოს თავისი სირთულე აქვს, მაგრამ მხარდაჭერა იგრძნობოდა“, – აღნიშნავს ლიზი ჩვენთან საუბრისას.

ლიზი ნებიერიძე აქედანვე ფლობს ინფორმაციას იმ შესაძლებლობების შესახებ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სივრცეშია დამკვიდრებული სტუდენტთათვის. ამის გათვალისწინებით პირველკურსელი გვიმხელს თავის სურვილებს, რაც მის მიერ პირველ ნომრად არჩეულ უნივერსიტეტს უკავშირდება. „მინდა, თსუ-ში სწავლისას მაქსიმალურად გამოვიყენო უნივერსიტეტის შესაძლებლობები – ჩავერთო საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებსა და დისკუსიებში, სადაც სტუდენტები ერთმანეთისგან სწავლობენ და საერთო ძალებით ცდილობენ თანამედროვე გამოწვევებზე ფიქრსა და გადაწყვეტილებების ძიებას. ჩემთვის მნიშვნელოვანი იქნება არა მხოლოდ მაღალი აკადემიური მოსწრებით უნივერსიტეტის დამთავრება, არამედ ისიც, რომ ამ გზაზე ჩამოვყალიბდე როგორც აქტიური, პასუხისმგებლიანი და პროგრესული მოქალაქე, რომელიც მომავალში ცოდნასა და გამოცდილებას ქვეყნის განვითარებას მოახმარს“, – ასე ფიქრობს ლიზი, რომელსაც წინასწარ აქვს გათვლილი სტუდენტურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღება. მას დიდი სურვილი და მოლოდინიც აქვს, რომ სტუდენტურ ცხოვრებას მეგობრულ ატმოსფეროში გაატარებს და რომ ყველასთვის იარსებებს სივრცე თავისუფალი იდეების გასაზიარებლად.

ლიზის სამომავლო მიზნებიც გაცხადებული აქვს და აქედანვე მოტივირებულია, რომ მის მიერ არჩეული სპეციალობა – საერთაშორისო სამართალი – სიღრმისეულად შეისწავლოს. „მსურს, ერთ დღეს აქტიურად ჩავერთო დიპლომატიურ ურთიერთობებში, ვიყო საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი ან მონაწილეობა მივიღო ისეთ საქმიანობაში, რომელიც ჩემს ქვეყანას ევროპულ და გლობალურ პროცესებთან უკეთესად დააკავშირებს. გარდა ამისა, ვგეგმავ სწავლა გავაგრძელო საზღვარგარეთ და შევიძინო ცოდნა, რომელიც ჩემს მომავალ პროფესიულ განვითარებას უმნიშვნელოვანესად დაეხმარება“, – ასეთი სამომავლო გეგმები აქვს ლიზის, რომელიც თავის გეგმებს იმ ოცნებას ადარებს, რაც აუცილებლად სრულდება. მას სჯერა იმ ოცნებების ახდენის, რომელსაც მთელი სულითა და გულით ჩაუთქვამს და რომლის განსახორციელებლადაც მცდელობებს თავადაც არ დააკლებს. ასეთი ქარიზმა მოდგამთ ხოლმე, ზოგადად, იმ ბავშვებს, რომელთაც ობლობის ტკივილი გამოსცადეს. მათ რიცხვშია ლიზი ნებიერიძეც, რომელიც მარტოხელა დედამ გაზარდა მამის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ. ის ემოციები, რომელიც ბავშვობიდან მოჰყვება, ლიზის უკეთესი ცხოვრებისთვის ბრძოლის უნარიანობას მატებს და ჩვენი ბოლოთქმაც ეს არის: სწორედ რომ ასეთი ადამიანებისთვის „შეითქმება“ ხოლმე სამყარო – დიდ-პატარად მოვლენილს ხელი შეაშველოს სამომავლოდ გასაკაფ გზაზე.

თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია ჰარვარდის საზაფხულო სკოლის (Harvard Summer School) იმ ქართველ კურსდამთავრებულებს შეხვდა, რომლებიც დღეს ჩვენი სტუდენტები არიან. თსუ-ს სტუდენტები ჰარვარდის (აშშ) ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საზაფხულო აკადემიურ პროგრამაში სამი კვირის განმავლობაში მონაწილეობდნენ.

პროგრამის კურსდამთავრებულებმა რექტორთან შეხვედრისას დეტალურად ისაუბრეს - თუ რა აკადემიური და პროფესიული შესაძლებლობები შესთავაზა მათ ჰარვარდის საზაფხულო სკოლამ.

ჯაბა სამუშიამ მადლობა გადაუხადა სტუდენტებს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისთვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ თსუ-ში მსგავსი პროგრამები მომავალშიც გაგრძელდება, რაც უმნიშვნელოვანესია სტუდენტების საერთაშორისო ჩართულობისა და აკადემიური ზრდისთვის.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ წარმოგიდგენთ ჰარვარდის საზაფხულო სკოლის კურსდამთავრებულებს და თითოეული მათგანის შთაბეჭდილებებს.

ნიკა ტეფნაძე: „ჩემი გზა ჰარვარდამდე მივიდა“

ნინო ჯაჯულია

ნიკა ტეფნაძე, რომელიც ჰარვარდში იმყოფებოდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტია. მისთვის საამაყოა, რომ საქართველოს პირველი ეროვნული უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების ნაწილია. „დღეს თამამად შემიძლია ვუპასუხო კითხვას – თუ რა მომცა უნივერსიტეტმა? სწორედ თსუ იქცა ჩემთვის უამრავი შესაძლებლობის საწყის წერტილად. ოთხი წლის განმავლობაში სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შესაძლებლობების ფარგლებში მოვახერხე, რომ სხვადასხვა დროს სტუდენტობა გამეტარებინა საფრანგეთის წამყვან უნივერსიტეტებში. ყოველივე კი დაგვირგვინდა იმით, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის ამპლუაში აღმოვჩნდი პირველი აღმოსავლეთ ევროპელი სტუდენტი, რომელიც Harvard-ის გლობალური პარტნიორობის წევრი გახდა“, – ამბობს ნიკა.

ჰარვარდის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში მონაწილეობასთან დაკავშირებით ნიკა ტეფნაძე თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს და ამბობს: „ჰარვარდის საზაფხულო სკოლა ჩემთვის დიდ სიახლესა და სრულიად სხვა სამყაროს წარმოადგენდა. ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსით ჩემ წინ უამრავი ახალი შესაძლებლობა გადაიშალა. მსოფლიოს უდიდესი ბიბლიოთეკა, მსოფლიოს უზარმაზარი უნივერსიტეტი, მსოფლიოს მოწინავე კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები, ასი ათასობით სახელმძღვანელო და ხელნაწერები, მსოფლიო დონის პროფესორები – მე ამ ყოველივეს ნაწილი გავხდი. სამი კვირის განმავლობაში შევიგრძენი ის, რაც არა მხოლოდ ქართველი ახალგაზრდისათვის, არამედ ნებისმიერი სტუდენტისათვის სანატრელია – ჩემი გზა ჰარვარდამდე მივიდა.

ყოველთვის მქონდა ოცნება, რომ მესწავლა მსოფლიოს რომელიმე პრესტიჟულ უნივერსიტეტში. თუმცა, ცხადია, ადამიანს მიზნების მისაღწევად შინაგანი სწრაფვა სჭირდება, საკუთარ თავში უნდა იპოვოს ის გრძნობა, რაც მისცემს ძალას, რომ ეზიაროს თავის ოცნებებს. ჰარვარდის უნივერსიტეტის კედლებში ჩემი თავი ისევ აღმოვაჩინე – ვკითხულობდი გარშემო წარწერებს: რომ თამამად უნდა ვიოცნებო! რომ შესაძლებლობას არ აქვს საზღვარი! რომ არ უნდა მეშინოდეს დიადი მიზნების დასახვის!

ზოგიერთმა შეიძლება თქვას, რომ ეს, უბრალოდ, ერთ-ერთ ჩვეულებრივ საზაფხულო სკოლაში მონაწილეობა იყო... და მე სწორედ მათ ვეტყოდი, რომ – არა! მე ჰარვარდის უნივერსიტეტის ნაწილი გავხდი; მქონდა შესაძლებლობა, რომ მომეპოვებინა წვდომა ჰარვარდის ბიბლიოთეკის უამრავ სახელმძღვანელოზე; შევძელი, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორები გამეცნო და მესწავლა ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტის მსგავსად. ვამაყობდი, რომ მე და ჩემი მეგობრების გავლით ჰარვარდის კედლებში ისმოდა საქართველოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი“.

ნიკა ტეფნაძისთვის, როგორც თავად უკვე აღნიშნა, ჰარვარდის საზაფხულო სკოლაში მონაწილეობა პირველი შესაძლებლობა არ იყო. თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლისას იგი არაერთ გაცვლით პროგრამას ეზიარა. „ბავშვობიდან მქონდა სურვილი, რომ საფრანგეთში მესწავლა. ეს, ალბათ, ფრანგული ენისა და კულტურის სიყვარულმა განაპირობა. ერასმუს-ის პროგრამის ფარგლებში, მეორე კურსის სტუდენტს, 2022–2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, მქონდა შესაძლებლობა – სწავლა გამეგრძელებინა სამხრეთ საფრანგეთში, ნიცაში კოტ დ'აზურის უნივერსიტეტში; ასევე, 2023–2024 წლის სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი გავატარე ჩრდილოეთ საფრანგეთში, ბრეტანის რეგიონის წამყვან რენის უნივერსიტეტში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ჩემთვის ფართო გზები გახსნა. გაცვლითი პროგრამის სტუდენტობა არ ყოფილა მარტივი. ეს საკუთარი კომფორტის ზონის დატოვებაა და სრულიად ახალი ცხოვრების დაწყებას ნიშნავს. საოცარი შთაბეჭდილებით დავბრუნდი ყოველ ჯერზე ჩემს უნივერსიტეტში და, რაც მთავარია, ყოველთვის დიდი მადლიერების გრძნობით“, – გვიყვება ნიკა.

ნიკა ტეფნაძის აზრით, თსუ დღეს სხვადასხვა გამოწვევის წინაშე დგას. იგი თვლის, რომ აუცილებელია ტრადიციისა და ნოვაციების შერწყმა, რაც ინფრასტრუქტურისა და ციფრული პლატფორმების განვითარებას უკავშირდება. სურვილი აქვს, რომ უნივერსიტეტმა სტუდენტებს უფრო ფართო წვდომა მისცეს საერთაშორისო ონლაინ-სასწავლო პლატფორმებსა და რესურსებზე, როგორიცაა სამეცნიერო ბაზები, ონლაინ-ლექსიკონები და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ნიკა უნივერსიტეტში პრობლემებსაც ხედავს, მას მიაჩნია, რომ საუკეთესო უნივერსიტეტში სწავლობს და, პირველ რიგში, ის პროფესორ-მასწავლებლებს ემადლიერება. „იურიდიული ფაკულტეტი იწონებს თავს იმით, რომ ფაკულტეტზე ის პროფესორ-მასწავლებლები კითხულობენ ლექციებს, რომლებიც რეალურად ქმნიან ქართულ იურისპრუდენციას. რთულია, გამოვარჩიო საყვარელი ლექტორი, თუმცა აუცილებელია, ვახსენო იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თამარ ზარანდია და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ირინე ქურდაძე, რომლებსაც დიდი წვლილი აქვთ არა მხოლოდ ჩემს პროფესიულ, არამედ პიროვნულ განვითარებაში. უზომოდ მადლიერი ვარ მათ მიერ გამოვლენილი უწყვეტი მხარდაჭერისა ჩემს კარიერულ განვითარებაში“, – აღნიშნავს ნიკა ტეფნაძე, რომელსაც მიაჩნია, რომ სწორედ სტუდენტებზეა დამოკიდებული – თუ როგორ შეძლებენ უნივერსიტეტში არსებული შესაძლებლობების მათ სასიკეთოდ გამოყენებას.

მარიამ გასვიანი: „ჰარვარდის საზაფხულო სკოლაში სწავლის გამოცდილება საუკეთესო პრელუდიაა“

ნინო ჯაჯულია

მარიამ გასვიანი თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის – „ფსიქოლოგია“ – მე-3 კურსის სტუდენტია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ჰარვარდის საზაფხულო სკოლაში. საზღვარგარეთ ცოდნის მიღების თვალსაზრისით მარიამისთვის ეს პირველი გამოცდილება იყო.

„არ ვიქნები გამორჩეული, თუკი ვიტყვი, რომ ჩემი ოცნება ყოველთვის იყო მსოფლიოს რომელიმე წამყვან უნივერსიტეტში სწავლა. მათ შორის კი ჰარვარდს ისევე საპატიოდ და მყარად ეკავა პირველი ადგილი სასურველი უნივერსიტეტების სიაში, როგორც მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტების ჩამონათვალში უკვე ათწლეულებია უკავია. ჩემს წარმოდგენებში ამ ოცნებას ხელშესახებ რეალობად ყველა ის პიროვნული მახასიათებელი აქცევდა, რომლებიც სასკოლო ასაკიდანვე გამოვიმუშავე. ყოველთვის მჯეროდა, რომ შრომისმოყვარეობა, მონდომება და მიზანდასახულობა წარმატების ის კომპონენტებია, რომლებიც ყველაზე თამამ ოცნებასაც კი რეალობად აქცევს. თამამს იმდენად, რამდენადაც მსგავსი ოცნებები მხოლოდ ზემოთ-ჩამოთვლილი ელემენტების უბრალო ჯამზე არ დაიყვანება და უამრავი გარე ფაქტორის ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგია. თუმცა, თუკი ამ უკანასკნელს დროებით ყურადღების მიღმა დავტოვებ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარმატების აღნიშნულ რეცეპტს ჩემთვის იმედი არასდროს გაუცრუებია. ჰარვარდის საზაფხულო სკოლაში სწავლის გამოცდილებაც ამის საუკეთესო დასტურია.

არასდროს დამავიწყდება დერეალიზაციის განცდა, რომელიც თსუ-ს „მეილის“ მიღებას ახლდა თან. ჰარვარდის უნივერსიტეტის სახელის წაკითხვაც კი საკმარისი იყო ჩემთვის იმის გადასაწყვეტად, რომ მერწმუნა, სწორედ ეს პროგრამა იყო ცხოვრებისგან შემოთავაზებული ის გარემოება, რომელიც ჩემი მოზარდობის დროინდელ ოცნებას ფრთებს ასხამდა. ამ ოცნების რეალობად ქცევისკენ გადადგმული ნაბიჯები საკმაოდ რთული, დროში გაწელილი და შრომატევადი იყო, თუმცა გამოცდილება, რომელიც ჰარვარდის საზაფხულო სკოლის სტუდენტობით შევიძინე, ფასდაუდებელია და ამ გზაზე შექმნილ ყველა დაბრკოლებას მომენტალურად აუფერულებს. როგორც ჩემს პირად ჩანაწერებში მაქვს აღნიშნული – გერქვას ჰარვარდის სტუდენტი, ნიშნავს იღებდე უნიკალურ ცოდნას და გამოცდილებას მსოფლიოს წამყვანი პროფესორებისგან და გქონდეს ურთიერთობა ყველაზე მიზანდასახულ და შთამაგონებელ ადამიანებთან მთელი მსოფლიოდან. ეს არის ადგილი, სადაც ადამიანმა საკუთარი პოტენციალის რეალიზების უმაღლეს მწვერვალებს შეიძლება მიაღწიო და ამასთან ყოველ დღე იღებდე უწყვეტ შთაგონებას საკუთარი თავის საუკეთესო ვერსიის შესაქმნელად. ეს პროცესი კი თავისი არსით იმდენად საინტერესო და სასიამოვნოა, რომ მიღებული გამოცდილების უწყვეტად გამეორების სურვილს აღვივებს. ამიტომ მჯერა, რომ ჰარვარდის საზაფხულო სკოლაში სწავლის გამოცდილება საუკეთესო პრელუდიაა იმ ოცნების კიდევ უფრო სრულყოფისთვის, რასაც ჰარვარდში ხანგრძლივი ვადით სწავლა ჰქვია“, – ასეთი აღფრთოვანებით საუბრობს მარიამ გასვიანი ჰარვარდის საზაფხულო სკოლაში გატარებულ 3 კვირაზე.

მარიამს არასდროს ეპარებოდა ეჭვი, რომ თავის დროზე მან სწორი არჩევანი გააკეთა, როცა თსუ-ში სწავლა გადაწყვიტა. მისთვის ჯერ კიდევ 10 წლის წინ იყო მკაფიო ამის მიზეზი: „აქ სწავლა გულისხმობს იმ ისტორიასთან, აკადემიურ თუ კულტურულ ცხოვრებასთან უშუალო შემხებლობას, რომელმაც ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ინტელექტუალური ფუნდამენტი შექმნა. იყო საუკუნოვანი ისტორიის თანამონაწილე – ეს არის პრივილეგია, რომელიც ნებისმიერ სტუდენტს საშუალებას აძლევს გახდეს არა მხოლოდ უნიკალური ინტელექტუალური მემკვიდრეობის მატარებელი, არამედ მისი თანაავტორიც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა არის მუდმივი დიალოგი წარსულსა და მომავალს შორის, რადგან ერთდროულად ხარ ტრადიციის ნაწილი და მისი გამგრძელებელიც ახლებური ხედვებითა და პერსპექტივებით“. მარიამი ემადლიერება ყველა იმ ლექტორს, რომლებიც ამ პერიოდის განმავლობაში მის მიერ დაგროვილი საუკეთესო აკადემიური გამოცდილების უშუალო თანამონაწილეა. „განსაკუთრებული მადლობა კი მინდა გადავუხადო ჩემი სამეცნიერო ნაშრომების ხელმძღვანელებს – ქალბატონ იამზე კუტალაძესა და ქალბატონ ხათუნა მარწყვიშვილს, რომელთა პროფესიონალიზმი, უწყვეტი მხარდაჭერა და ხელმძღვანელობა გადამწყვეტი აღმოჩნდა ჩემი აკადემიური იდენტობის ჩამოყალიბებაში. ვფიქრობ, რომ მათი რეკომენდაციები ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო იმ უნიკალური შესაძლებლობის რეალობად ქცევაში, რასაც ჰარვარდის საზაფხულო სკოლის სტუდენტობა ჰქვია“ – ამბობს მარიამი.

მარიამ გასვიანი ამჟამად სადოქტორო დისერტაციის თემაზე მუშაობს და მისი ინტერესები ფოკუსირებულია ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვებაზე.

მარიამ გოგატიშვილისთვის ჰარვარდში სწავლა წლის წარმატებით დასრულების საუკეთესო კულმინაცია იყო

შურთხია ბეროშვილი

მარიამ გოგატიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მეორე კურსის სტუდენტია. მას ჰარვარდის საზაფხულო სკოლაში 3 კვირით მონაწილეობამ დიდი მოტივაცია შესძინა, რომ მომავალში აქტიურად ჩაერთოს მსგავს პროექტებში. ჰარვარდში გატარებული დღეები მისთვის სანუკვარი ოცნების ახდენას ჰგავდა: „ჰარვარდის საზაფხულო სკოლა ჩემთვის ნამდვილად დაუვიწყარი გამოცდილება იყო. პირველი რამდენიმე დღე ვერც კი ვიჯერებდი, რომ მე ეს შევძელი და სამ კვირას ჩემი ოცნების უნივერსიტეტში გავატარებდი. იქ გატარებული ყოველი დღე საუკეთესო იყო. რაც შეეხება ლექციებს, გავიარე კურსი გლობალიზაციის პოლიტიკური ეკონომიკის შესახებ – „Political Economics of Globalization: challenges and opportunities“, რომელსაც ასწავლიდა პროფესორი თომას გიფტი. მისი ლექციები აქტიურად გვრთავდა დისკუსიებში, რაც პროცესს არა მხოლოდ შემეცნებითს, არამედ ინტერაქტიურსაც ხდიდა. ასევე დავუმეგობრდი სტუდენტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, რამაც საშუალება მომცა – გამეზიარებინა მათი შეხედულებები, კულტურა, გამეცნო ქვეყნის ისტორია და ტრადიციები. თავისუფალ დროს ახალი ადგილების დათვალიერებაში ვატარებდი. მეგობრებთან ერთად გავდიოდი ბოსტონში და კემბრიჯში. მოვინახულე უამრავი მუზეუმი, დავაგემოვნე ახალი კერძები და ჰარვარდის თითქმის ყველა დაწესებულებას ვესტუმრე. საღამოობით სამაგიდო თამაშებს ვთამაშობდით და საინტერესო თემებზე ვსაუბრობდით. კურსის ბოლოს ჩვენმა ჯგუფმა იმუშავა სამეცნიერო ნაშრომზე და წარადგინა პრეზენტაცია, რაც მოითხოვდა არა მხოლოდ საფუძვლიან კვლევას, არამედ ჩემი ჯგუფის წევრებთან მჭიდრო კომუნიკაციასა და გუნდურ მუშაობას. ეს პროექტი ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე საამაყო მიღწევა გახდა. დიდი პატივია, რომ აღმოსავლეთ ევროპიდან ერთ-ერთი პირველი სტუდენტი ვიყავი, რომელსაც ჰქონდა შესაძლებლობა ჰარვარდის საზაფხულო სკოლის პროგრამაში მიეღო მონაწილეობა“, – ამბობს მარიამი.

მარიამ გოგატიშვილის ინფორმაციით, ჰარვარდში უმეტესი ნაწილი დისკუსიასა და ლექციის მსვლელობისას სტუდენტის აქტიურ ჩართულობას ეთმობოდა, რაც, მისი აზრით, ძალიან პროდუქტიული იყო. ერთადერთი, რასაც ISET-ში სწავლის პერიოდში ნატრულობს, სტუდენტებისთვის მეტი ჩართულობის შესაძლებლობების მიცემაა სწავლის პროცესებში.

ჰარვარდში სწავლა მარიამისთის ISET-ში პირველი წლის წარმატებით დასრულების საუკეთესო კულმინაცია იყო. ამ გამოცდილებამ დაანახა, რომ სწორი გზით მიდის და უკვე ახალ სასწავლო წელს სრულიად განსხვავებული შემართებით და ენთუზიაზმით ხვდება. „მუდმივად ღია ვარ იმ ახალი შესაძლებლობებისათვის, რასაც უნივერსიტეტი შემომთავაზებს, იქნება ეს გაცვლითი პროგრამები თუ საერთაშორისო პროექტები. საბოლოოდ, ჩემი მიზანია, საერთაშორისო გამოცდილება ჩემს თანაკურსელებს გავუზიარო და, ამასთან, ISET-ში მიღებული ცოდნა ქვეყნის განვითარებისთვის გამოვიყენო“, – აღნიშნავს მარიამ გოგატიშვილი.

გიგა რაზმაძის ჰარვარდული თავგადასავლები

თამარ დადიანი

გიგა რაზმაძემ სკოლაში სწავლისას ბევრჯერ იჭყლიტა თავი – რომელი პროფესია აერჩია. დროთა განმავლობაში მიხვდა, რომ მოსწონდა მათემატიკა, ციფრები, კრიტიკული აზროვნება, გრაფიკები... მე-10 კლასიდან გადაწყვიტა, რომ აუცილებლად ინგლისურად უნდა ესწავლა. ერთხელაც ჩაატარა მოკლე „რისერჩი“ და მიაგნო ISET-ს, რომელიც ინგლისურენოვანი სკოლაა და რომელიც პირველია საქართველოში ეკონომიკის მიმართულებით. გიგა დღეს საკუთარი არჩევანით კმაყოფილია და ამბობს, რომ თსუ-ს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას პირველ ადგილზე აყენებს.

გიგა რაზმაძე იმ სტუდენტთა შორისაა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჰარვარდის საზაფხულო სკოლაში. გიგას ბავშვობის ოცნება და არაერთი მცდელობა – საზღვარგარეთ ესწავლა – აუსრულდა. იმდენად საინტერესოდ გვიყვება ჰარვარდის უნივერსიტეტში მოხვედრისთვის ნაწვალებ გზებზე, შემდეგ უკვე ჰარვარდში გამგზავრებისა და საზაფხულო სკოლაში სწავლის პერიოდზე, რომ უცვლელად გვინდა მისი შთამბეჭდავი ისტორია შემოგთავაზოთ.

* * *

„ჰარვარდში სწავლა ბევრისთვის ოცნების ტოლფასი რამაა – ასე იყო ჩემთვისაც, განსაკუთრებით სკოლის ბოლო წლებში. ყველაფერი დაიწყო პატარაობიდან, როდესაც მოგზაურობაზე, უცხოეთში სწავლასა და ახალი, მრავალფეროვანი გამოცდილებების შეძენაზე ვოცნებობდი, თუმცა ვცხოვრობდი რაჭის ძალიან პატარა ქალაქში, ონში, სადაც ყოველთვის განვიცდიდი შესაძლებლობების დეფიციტს. დროთა განმავლობაში ინტერნეტისა და სოციალური მედიის დახმარებით ვისწავლე ბანაკების, კონფერენციების, ჰაკათონების, სხვადასხვა შეხვედრების მოძიება და ასე გადავაწყდი ერთ-ერთ ძალიან მაგარ გვერდს და უმაგრეს ჯგუფს – Education USA Georgia-ს, რომელიც ახალგაზრდებს უცხოეთში ჩაბარებასა და სწავლაში ეხმარება. ამ ჯგუფში გაწევრიანების შემდგომ ჩემი მოტივაცია დღითიდღე იზრდებოდა და გადავწყვიტე საზღვარგარეთ ჩაბარებაზე ბედი მეცადა – რა თქმა უნდა, ბავშვობის ოცნებას არ ვუღალატე და ერთ-ერთ ვარიანტად ჰარვარდი ავირჩიე. ვიფიქრე, რა იცი, რა ხდება-მეთქი. და დიახ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არ გამიმართლა, თუმცა ამ გამოცდილებამ იმდენი მასწავლა და იმხელა ცოდნა მომცა, რომ, საბოლოოდ, შრომა ამად, ალბათ, ნამდვილად ღირდა. შემდეგ ჩავაბარე ISET-ში და გადავწყვიტე, რომ GPA აუცილებლად კარგი უნდა მქონოდა, რაც სამომავლოდ საზღვარგარეთ სწავლაში დამეხმარებოდა. მახსოვს, ზამთარი იყო, თებერვალი, ავტობუსში ვიჯექი და ტელეფონზე თსუ-სგან შეტყობინება მომივიდა ჰარვარდის საზაფხულო სკოლასთან დაკავშირებით. საინფორმაციო „ფაილი“ რომ გავხსენი, შიგნით საკმაოდ ბევრი კრიტერიუმი დამხვდა, რაც, ალბათ, გამოცდილება რომ არ მქონოდა, საკმაოდ დამსტრესავდა, თუმცა მაშინვე ვთქვი, რომ აუცილებლად ვცდიდი ბედს. მეორე დღიდან დავიწყე მზადება. პროცესი საკმაოდ გრძელი იყო – რეკომედატორების მოძებნა, სამოტივაციო წერილების წერა, ინგლისური ენის ტესტისთვის მზადება და შემდგომ ჩაბარება, მაღალი GPA, ათასი პატარ-პატარა დეტალი და შემდგომ მეორე ეტაპი – გასაუბრება. არ მოგატყუებთ და თითქოს პროცესშივე ვიცოდი, რომ ყველაფერი კარგად მიდიოდა. აპრილი იყო, როცა „ერასმუს“-ის მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამით პოლონეთში ვიყავი და მეილზე მომივიდა შეტყობინება – Dear Giga, Congratulations on your Harvard Summer School nomination! ეს იყო ემოციების ზღვა. იმავე დღიდან უკვე მესამე ეტაპს შევუდექი, რომელიც კიდევ უფრო გართულდა და გაიწელა – კვლავ ინგლისური ენის ტესტი, სავალდებულო აცრები, პლატფორმებზე რეგისტრაცია, ვიზა და ათასი სხვა რამ, თუმცა, საბოლოოდ, უბედნიერესი ვარ, რომ შევძელი და სხვა მონაწილეების, მშობლების, თსუ-ს, ISET-ის დახმარებით ივლისის ერთ პარასკევ დღეს ჯერ სტამბულისა და შემდეგ ბოსტონისაკენ მიმავალ თვითმფრინავში ჩავჯექი. რაც შეეხება უშუალოდ ჰარვარდის საზაფხულო სკოლას, ეს იყო და ყოველთვის იქნება ჩემთვის დაუვიწყარი გამოცდილება, შთაბეჭდილებები და ემოციები.

პირველი რამდენიმე დღე მეგონა, რომ სიზმარში ვიყავი. ყველაფერი ისეთი იყო, როგორც ფილმებსა და იუთუბის ვიდეოებში მინახავს – უნივერსიტეტს ღამის მთლიანად უკავია ქალაქი. მე-19, მე-20 საუკუნის ელფერი კვლავ ყველაფერს დაჰკრავს – ულამაზესი სტუდენტური საცხოვრებლები, ძალიან ზრდილობიანი, ნიჭიერი და განათლებული ხალხი, უმაგრესი ბავშვები, განსაკუთრებული პერსონალი, სუფთა და მშვიდი გარემო და უამრავი სხვა რამ... ჰარვარდის საზაფხულო სკოლაში გავიჩინე ნამდვილი მეგობრები – ყოველ დღეს ერთად ვატარებდით, კურსზეც ერთად ვიყავით, ყოველ საღამოს, კვირის ბოლოსა და თავისუფალ დროს, ახალ-ახალი ადგილების სანახავად მივდიოდით... ვიცურავეთ კაიაკებით, ვითამაშეთ გაქცევის ოთახი, დავაგემოვნეთ აზიური სამზარეულო, დავათვალიერეთ კემბრიჯი და ბოსტონი, ვეწვიეთ მუზეუმებსა და ჰარვარდის თითქმის ყველა შენობას, ვსაუბრობდით და ვთამაშობდით სამაგიდო თამაშებს ღამის 2-3 საათამდე და სხვა მრავალი. თავად ლექციას კი რაც შეეხება, მე მქონდა არჩეული კურსი „Political Economics of Globalization: challenges and opportunities“, რომელსაც მასწავლიდა პროფესორი თომას გიფთი. კურსი იყო ძალიან საინტერესო, შევეხეთ უამრავ გლობალურ საკითხს, 3 საათის განმავლობაში გვქონდა დისკუსიები და დებატები. განსაკუთრებით რაც მომეწონა, იყო ის, რომ ყველას გვქონდა სასაუბრო ნებისმიერ საკითხზე და ამ აზრების გაცვლით უფრო ბევრს ვიგებდით და ვსწავლობდით, ვიდრე მხოლოდ ლექციით. კურსის განმავლობაში გვქონდა შუალედური, ფინალური და საბოლოოდ Policy Brief დასაწერი, რაზეც გუნდებთან ერთად ვმუშაობდით. საბოლოოდ, ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, ჰარვარდის საზაფხულო სკოლა იყო უდიდესი გამოცდილება, რომელმაც უამრავი რამ მასწავლა, დამაძლევინა კომპლექსები, მომცა სითამამე, ახალი უნარები, გამიხსნა კარი ახალი ხედვისკენ და დამანახა, რომ, დიდი სურვილისა და მონდომების შემთხვევაში, წარმოუდგენელი ოცნებებიც კი ხდება“, – ასეთ წინაისტორიასა და ჰარვარდულ გამოცდილებას გვიზიარებს გიგა რაზმაძე, რომლის შთაბეჭდილებების გაცნობაც თსუ-ს სტუდენტებს, ალბათ, დიდ მოტივაციას მისცემს – თავადაც გახდნენ ასეთი თავგადასავლების მონაწილენი.

თსუ-ში Welcome Party გაიმართა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო წლის დაწყების წინა, პირველკურსელთა მისასალმებელი ღონისძიება, TSU Welcome Party გაიმართა. ღონისძიებაზე დასწრების საშუალება სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს ჰქონდა. რადიო ქალაქში ღონისძიების დამსწრეთა წინაშე წარსდგნენ: მგზავრები, ტაჰა, სკარლეტ ბენდი, ტობაკო ტვინი, Monk B2B Mocongo, ICY NIGHTMARE.

თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები პედიატრიის სწავლებას ახალ კლინიკაში გაივლიან

ნინო ჩარკვიანი

თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტი სასწავლო წელს სიახლით ხვდება: ბაკალავრიატისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები პედიატრიის სასწავლო კურსს ახალი კლინიკის ბაზაზე, ქართულ-გერმანული ინტეგრაციული მედიცინის ცენტრში – „თერაპიის სახლში“ – გაივლიან.

„დიდი სიხარულით მინდა ვთქვა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ მაია ბიწკინაშვილის მხარდაჭერით, წელს ახალი კლინიკური ბაზა გვაქვს. აქ ჩვენი სტუდენტები თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ გამოცდილებასაც შეიძენენ“, – ამბობს პედიატრიის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რუსუდან ქარსელაძე ჩვენთან საუბარში.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რესპონდენტი აღნიშნავს, რომ „თერაპიის სახლის“ თანამედროვე შენობაში ხელმისაწვდომია მაღალ დონეზე აღჭურვილი ლაბორატორია, სადაც სტუდენტებს კვალიფიციურ სპეციალისტებთან მუშაობის შესაძლებლობა აქვთ.

„საუნივერსიტეტო სწავლებისთვის იდეალური გარემო და არაჩვეულებრივი, გულისხმიერი კოლექტივი დაგვხვდა. ვფიქრობ, აქ სტუდენტებს სწავლისთვის ყველა პირობა აქვთ შექმნილი: ლექცია-სემინარები ტარდება ძალიან კარგად მოწყობილ აუდიტორიაში, დეკანატმა გადმოგვცა მულაჟები, საკმაოდ ძვირადღირებული და ეფექტური სიმულატორები და ასევე გვაქვს საშუალება სტუდენტებს ვაჩვენოთ სარეაბილიტაციო სამსახურის მუშაობა, რაც სხვა კლინიკებში ნაკლებად არის შესაძლებელი“, – ასე აფასებს პროფესორი რუსუდან ქარსელაძე ახალ კლინიკურ ბაზას.

ახალი თანამშრომლობის შესახებ ვესაუბრეთ „თერაპიის სახლის“ დირექტორსაც, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ლალი ანდრიაშვილს: „უნივერსიტეტის პედიატრიის კათედრის კლინიკური ბაზის ჩვენთან გადმოსვლა ორმხრივად მნიშვნელოვანია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ჩვენი გუნდისთვის. „თერაპიის სახლი“ არის ქართულ-გერმანული ინტეგრაციული მედიცინის ცენტრი, რომელსაც მრავალმხრივი სამედიცინო პრაქტიკა და ევროპული სტანდარტით მუშაობის 35 წლიანი გამოცდილება აქვს. ზოგიერთი რეაბილიტაციური სერვისის მიღება საქართველოში მხოლოდ ჩვენთანაა შესაძლებელი: სამკურნალო ევრითმია, ოსტეოპათია, რიტმული მასაჟი, ლიმფის მანუალური დრენაჟი, ზეთის დისპერსიული აბაზანები, არტ თერაპია. სტუდენტებს შეუძლიათ დააკვირდნენ ამ მეთოდებს, ლექტორებს კი საშუალება აქვთ, რომ სწავლების პროცესში სტუდენტებს აჩვენონ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის და პროფილის პაციენტები, მათზე მორგებული მკურნალობის ეტაპები. სწორედ ამ მრავალი წლის მანძილზე დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებაა მნიშვნელოვანი მომავალი კოლეგებისთვის“.

ხაზგასასმელია, რომ თანამედროვე პედიატრიის გამოწვევები, როგორიცაა მაგალითად, აუტიზმი და ბავშვთა განვითარების შეფერხება, თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტების კვლევის საგანია. პროფესორმა რუსუდან ქარსელაძემ ყურადღება გაამახვილა, რომ ამჟამად 8 დოქტორანტი მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით და კლინიკური ბაზა მათი კვლევისთვისაც მნიშვნელოვანია.

ახალ კლინიკურ ბაზაზე საუბრისას, პროფესორმა რუსუდან ქარსელაძემ ასევე აღნიშნა, რომ ქართულ-გერმანული ინტეგრაციული მედიცინის ცენტრი საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების ჩატარების საშუალებასაც იძლევა. ოქტომბრიდან დაგეგმილია საერთაშორისო მულტიცენტრული კვლევების დაწყება, რომლებიც ბრონქულ ასთმას, ალერგიულ რინიტსა და სხვა საკითხებს შეეხება. „ჩვენს კათედრას უკვე აქვს საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობის გამოცდილება, ხოლო ახალი ინფრასტრუქტურა ამ შესაძლებლობებს კიდევ უფრო გააძლიერებს“, – აღნიშნავს პროფესორი.

პროფესორი რუსუდან ქარსელაძე ხაზს უსვამს „თერაპიის სახლის“ მრავალმხრივ შესაძლებლობებს პრაქტიკული და მეცნიერული მუშაობის მიმართულებით, თუმცა ასევე განმარტავს: “ერთადერთი, რაც ჩვენი ახალი კლინიკური ბაზის ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ, სტაციონარის არ ქონაა, თუმცა სტუდენტებს ჰოსპიტალურ სექტორზე დაკვირვების შესაძლებლობა ექნებათ ინგროყვას კლინიკაში, ასოცირებულ პროფესორ ქეთევან ბარაბაძესთან“.

ამ ეტაპზე „თერაპიის სახლის“ კლინიკურ ბაზაზე სასწავლო პროცესში ჩართული არიან თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტები და დოქტორანტები. სამომავლოდ დაგეგმილია რეზიდენტების მიღებაც.

ნორმატიული აქტის მომზადების პირველი გზამკვლევი საქართველოში

ნინო ჩარკვიანი

„ნორმატიული აქტის მომზადების გზამკვლევი“ – ასე ჰქვია თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის, ვასილ გონაშვილის, ახალ წიგნს, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროექტის ფარგლებში გამოიცა. სახელმძღვანელო საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკისა და ევროპის სხვა ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზეა შექმნილი.

წიგნის ავტორის თქმით, საქართველოში ამგვარი გზამკვლევი არასდროს დაბეჭდილა, საჭიროება კი ნამდვილად იდგა: „ჩვენს ქვეყანაში წლების განმავლობაში ყალიბდებოდა კანონპროექტებისა და ნორმატიული აქტების შედგენის ტექნიკა, თუმცა დაუწერელი წესების სახით. შესაბამისად, აუცილებელი იყო ამ პრაქტიკის წერილობითი სახით ჩამოყალიბება. გერმანიაში, დანიაში, ფინეთში, ესტონეთსა და იტალიაში გზამკვლევები არა მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომის სახით არსებობს, არამედ, მეტიც, დამტკიცებულია პარლამენტის ან იუსტიციის მინისტრის მიერ“, – განმარტავს პროფესორი ვასილ გონაშვილი.

„ნორმატიული აქტის მომზადების გზამკვლევი“ განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, ასევე სამართალშემოქმედებითი ფუნქციის მქონე სახელმწიფო ორგანოებისთვის, სხვა ორგანიზაციებისთვისა და კერძო პირებისთვის, რომელთაც სურთ, რომ შეიმუშავონ საკანონმდებლო ინიციატივები და წინადადებები. პროფესორი ვასილ გონაშვილი აღნიშნავს: „მნიშვნელოვანია, რომ თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე ვასწავლი საგანს „საჯარო სამართლის პრაქტიკული კურსი“, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება კანონპროექტის წერის სტანდარტების სწავლებაა. ეს ნაშრომი უდავოდ დაეხმარება სტუდენტებს საგნის უკეთ შესწავლაში“.

ახლახანს გამოცემული წიგნი ორ მთავარ კითხვას პასუხობს – როგორ შევადგინოთ კანონპროექტი, რომ ის იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით გამართული იყოს და როგორ ავაგოთ სამართლის ნორმა. უფრო დეტალურად ავტორი განიხილავს შემდეგ საკითხებს: ნორმატიული აქტის შედგენის ტექნიკა, ცვლილების შეტანის წესი, მუხლების დამატება, სასვენი ნიშნების გამოყენება და სხვა. ასევე ყურადღება გამახვილებულია სამართლის ნორმის სწორ ფორმულირებაზე, რომ დაცული უნდა იყოს სიცხადე, სიზუსტე, ნეიტრალური ენა, წინადადების სტრუქტურა, ტერმინთა განმარტება, პუნქტუაცია და სხვა მნიშვნელოვანი ელემენტები. გარდა ამისა, საუბარია სახელმწიფო ენისა და გერბის გამოყენების წესებზე.

თსუ-ს ასოცირებულ პროფესორს მისი წიგნის მნიშვნელობაზე ვკითხეთ ახალგაზრდა იურისტებისთვის: „ვფიქრობ, აუცილებელია, რომ მომავალი იურისტები დაეუფლონ ნორმატიული აქტების სწორი შექმნის უნარს. იურისტი, რომელიც ამზადებს ნორმატიული აქტის პროექტს, აუცილებლად უნდა ფლობდეს მისი წერის ხელოვნებას, პროექტისა და ნორმის სწორად ჩამოყალიბების უნარ-ჩვევებს. ამ ჩვევებს კი ის იძენს დასაქმების შემდეგ ან სტაჟირების დროს. ჩვენ მიერ შემუშავებული ნაშრომი ხელს უწყობს ყველა იურისტს, წინასწარ მომზადებული ჩაერთოს ნორმაშემოქმედებით პროცესებში“.

პროფესორი ვასილ გონაშვილი სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრა. იგი ამჟამად რამდენიმე პროექტზე მუშაობს. დაახლოებით ერთ თვეში დაიბეჭდება თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის კონსტიტუციური სამართლის მიმართულების პროფესორთა და დოქტორანტთა ჩართულობით მომზადებული სახელმძღვანელო ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ, რომელშიც ერთი თემის ანალიზი მის მიერაა მომზადებული. გარდა ამისა, ვასილ გონაშვილი, თითქმის ორი წელია, იკვლევს დემოკრატიული ქვეყნების ტერიტორიული მოწყობის თავისებურებებს, რის შემდეგაც საქართველოსთან მიმართებით შესაბამისი დოკუმენტის მომზადება იგეგმება. ამ პროექტის ინიციატორი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოა.

წინა სახელმძღვანელოებისგან პრინციპულად განსხვავებული ახალი სახელმძღვანელო სოციოლოგიის შესავალში

მაია ტორაძე

ახლახან თსუ-ს გამომცემლობამ გამოსცა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ასოცირებული პროფესორის კახა ქეცბაიას განახლებული სახელმძღვანელო – „სოციოლოგიის შესავალი“. წიგნი შეიცავს ავტორის მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სოციოლოგიის შესავალში წაკითხულ ლექციებს. სალექციო თემატიკას ერთვის შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის კითხვები და დავალებები, საპრეზენტაციო თემები, აგრეთვე – სოციოლოგიის ცალკეულ კლასიკურ და თანამედროვე ტერმინთა განმარტებანი და ა.შ.

წიგნი განკუთვნილია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისა და სოციოლოგიის შესწავლის მსურველთათვის. დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა სოციოლოგიის კლასიკურ და თანამედროვე მიდგომებს, სოციოლოგიის ძირითად ცნებებსა და პრობლემებს, სოციოლოგიური მეცნიერების თავისებურებებს და მრავალ სხვა მსგავს საკითხს.

ავტორს მიაჩნია, რომ სოციოლოგია ცოცხალი მეცნიერებაა. მისმა შესავალმა კურსმა მკითხველი მარადიულ საჭირბოროტო სოციალურ პრობლემებსა და კითხვებზე უნდა დააფიქროს და სოციალურ მოვლენათა კვლევის ლაბორატორიაში შეიყვანოს. „წიგნი მკითხველს ეუბნება, რომ სოციოლოგია მას და მის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას ეხება; ის ადამიანს გარემომცველ სოციალურ მოვლენათა სამყაროში ორიენტირებაში დაეხმარება. ამ შემთხვევაში მთავარია არა სოციოლოგიური თეორიების ზედმიწევნით ცოდნა, არამედ ის, რომ სახელმძღვანელომ მკითხველს თვალი აუხილოს და იმ რეალობის კანონზომიერება დაანახოს, რომელიც, ნაწილობრივ, მისი შექმნილია და რომელიც მასზე მძლავრად ზემოქმედებს“, – ამბობს ავტორი.

გარდა ამისა, სახელმძღვანელოს ერთ-ერთი მიზანი საქართველოში სოციოლოგიური ცოდნის გავრცელება და პოპულარიზაციაა. მართალია, სამეცნიერო სიახლე სახელმძღვანელოს ნაკლებად მოეთხოვება, მაგრამ „სოციოლოგიის შესავალი“ მნიშვნელოვან სიახლესაც მოიცავს. კერძოდ, წლების განმავლობაში გავრცელებული იყო მოსაზრება რომ, თითქოს, სოციოლოგია ფილოსოფიური დისციპლინაა. სახელმძღვანელო, ამ ვითარების საპირისპიროდ, იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ სოციოლოგია ფილოსოფიური დისციპლინა კი არა, საზოგადოების შემსწავლელი დამოუკიდებელი, სუვერენული მეცნიერებაა, ყოველგვარი „ფილოსოფიური მინარევების“ გარეშე. ქართულ სამეცნიერო სფეროში აქამდე არსებულ „სოციოლოგიის შესავლებს“ მეტ-ნაკლებად ფილოსოფიური ხასიათი აქვთ. წარმოდგენილი სახელმძღვანელო მათგან პრინციპულად განსხვავებულია და, ამდენად, სიახლეს წარმოადგენს.

სახელმძღვანელოს განახლება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე „სახელმძღვანელოების კონკურსის“ ფარგლებში მოხდა, ხოლო მისი ბეჭდური ვერსია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში გამოიცა. სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორია თსუ-ს პროფესორი ამირან ბერძენიშვილი, ხოლო რეცენზენტი – თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი შორენა თურქიაშვილი.

* * *

იაპონიის ელჩმა საქართველოში, იშიძუკა ჰიდეკიმ, ელჩის რეზიდენციაში გამართულ ღონისძიებაზე თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მიმართულების ხელმძღვანელს, პროფესორ **ნანა გელაშვილს** 2025 ფისკალური წლის საგარეო საქმეთა მინისტრის საპატიო სიგელი გადასცა. პროფესორი ნანა გელაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მიმართულების ხელმძღვანელის რანგში, უკვე დიდი ხანია ხელს უწყობს იაპონური კულტურისა და იაპონისტიკის პოპულარიზაციას უნივერსიტეტში. მისი ერთ-ერთი განსაკუთრებული მიღწევა არის იაპონისტიკის საბაკალავრო პროგრამის დაარსება 2023 წელს. ასევე ნანა გელაშვილის სახელს უკავშირდება უნივერსიტეტში არაერთი საერთაშორისო კონფერენცია იაპონური კულტურის, ისტორიისა და პოლიტიკის წარმოსაჩენად, რითაც მან დიდი წვლილი შეიტანა იაპონია-საქართველოს ურთიერთგაგებისა და მეგობრული კავშირების გაღრმავებაში.

ქართული ნუმიზმატიკის პირველი მნიშვნელოვანი აღიარება

მაია ტორაძე

სულ ცოტა ხნის წინ დღის სინათლე იხილა ოთხტომეულმა, რომელშიც შევიდა 2022 წელს ვარშავაში ჩატარებულ ნუმიზმატიკის XVI მსოფლიო კონგრესზე წარდგენილი საუკეთესო 242 სტატია. მათ შორის მოხვდა ქართველი მეცნიერების მიერ წაკითხული ოთხივე მოხსენება. ქართული ნუმიზმატიკისთვის ეს არის პირველი მნიშვნელოვანი აღიარება და პოპულარიზაცია საერთაშორისო მასშტაბით.

ნუმიზმატიკის მსოფლიო კონგრესი 1991 წლიდან ტარდება რეგულარულად, 6 წელიწადში ერთხელ. 2022 წელს, პირველად კონგრესის ისტორიაში, ცალკე სესია დაეთმო ქართული ნუმიზმატიკის საკითხებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტიდან წარმოდგენილი იყო ოთხი მოხსენება. სესიის ორგანიზატორი იყო საქართველოს ისტორიის ს/ს ინსტიტუტის პროფესორი თედო დუნდუა. მან ქართული მონეტები ზოგადად მიმოიხილა, ამასთან წარადგინა ქართული ნუმიზმატიკის ინგლისურ-ქართული ონლაინ-კატალოგი. მეორე მოხსენება – ანტიკური ხანის მონეტებზე საქართველოში –წაიკითხა ამავე ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორმა ნათია ფიფიამ; ასევე ასისტენტ-პროფესორმა ლერი თავაძემ ისაუბრა ბიზანტიური ხანის მონეტებზე საქართველოში, ხოლო ბოლო მოხსენება წაიკითხა თსუ-ს დოქტორანტმა ევგენი ჭანიშვილმა. მან ისაუბრა საქართველოში ნუმიზმატიკის ონლაინ კატალოგის შექმნის შემდეგ აღმოჩენილ მონეტებზე. კონგრესს ესწრებოდა 570 დელეგატი და წაკითხულ იქნა 554 მოხსენება.

საგულისხმოა, რომ კონგრესის მასალებში გამოცემისთვის შეირჩა საუკეთესო 242 სტატია. მათ შორისაა ქართველი მეცნიერების მიერ წაკითხული ოთხივე მოხსენება: კერძოდ, ნათია ფიფიას სტატია, რომელიც ბერძნულ ნუმიზმატიკას დაეთმო, დაიბეჭდა პირველ ტომში; ლერი თავაძისა და ევგენი ჭანიშვილის მოხსენებები, რომელიც შუა საუკუნეების ნუმიზმატიკას მიეძღვნა – მესამე ტომში, ხოლო თედო დუნდუას მოხსენება, რომელიც ნუმიზმატიკის აქტუალურ საკითხებზე იყო აქცენტირებული – მეოთხე ტომში.

მასალები დაბეჭდა პრესტიჟულმა ბელგიურმა გამომცემლობამ „ბრეპოლსმა“. ოთხივე ტომი გამოვიდა სარედაქციო კოლეგიის ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ 2025 წლის სექტემბერში.

გამოიცა მონოგრაფია „აფხაზეთი საქართველოა. ისტორიულ-ნუმიზმატიკური ნარატივი“

საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ბაზაზე 2024-2025 წლებში განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „აფხაზეთი საქართველოა. ისტორიულ-ნუმიზმატიკური ნარატივი“. საპროექტო წინადადებამ გაიმარჯვა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში“.

პროექტში ჩართული იყვნენ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი პროფესორი თედო დუნდუა და ამავე ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი ნათია ფიფია; აფხაზეთში აღმოჩენილი უახლესი მონეტების შესახებ პროექტს კონსულტირებას უწევდა თსუ-ს დოქტორანტი ევგენი ჭანიშვილი.

აფხაზეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა შინაარსობრივად იდენტურია დანარჩენ დასავლეთ საქართველოში ნაპოვნი ნუმიზმატიკური მასალის, რაც იმას ნიშნავს, რომ, ისტორიულ პერსპექტივაში, აქაც და იქაც, ერთი ჯგუფის მონეტები მიმოიქცეოდა და რომ დასავლეთ საქართველოს შესაბამისი ფიზიკური სუბსტრატი ყოველთვის ერთ ეკონომიკურ სისტემას ქმნიდა, კოლხეთს, ლაზიკას, ეგრის-აფხაზეთს, ზოგადი საზღვრებით – ბიჭვინთა-შორაპანი-გონიოს. X-XI საუკუნეების მიჯნა უკვე საქართველოს ეკონომიკური სისტემის ფორმირების ხანაა. XIII საუკუნის II ნახევარში ის დროებით დაიშალა. თუ აფხაზეთში აღმოჩენილი XIII-XVIII საუკუნეებით დათარიღებული ნუმიზმატიკური მასალა შინაარსობრივად იდენტურია დანარჩენ დასავლეთ საქართველოში ნაპოვნი XIII-XVIII საუკუნეებით დათარიღებული ნუმიზმატიკური მასალისა, ეს იმას ნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველო XIII-XVIII საუკუნეებში ეკონომიკურ სისტემას წარმოადგენდა ზოგადი საზღვრებით – ბიჭვინთა-შორაპანი-გონიო.

ცოტა ხნის წინ ამავე პროექტის ფარგლებში გამოიცა მონოგრაფია, რომელშიც მოცემული მასალები ადასტურებს, რომ აფხაზეთი ყოველთვის იყო ქართული ეთნოკულტურის ნაწილი და აფხაზეთის ტერიტორიაზე ეპოქის შესაბამისად მუდმივად მიმოიქცეოდა ის ფულები, რომელიც ბრუნვაში იყო დანარჩენ საქართველოში.

მონოგრაფიის ყველა თავს საილუსტრაციოდ დართული აქვს რუკები. წიგნი გამოიცა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

რა იდეისთვის დაჯილდოვდა უნივერსიტეტელი თამთა ნაბორაშვილი ახალგაზრდებისთვის დაწესებული მშვიდობის ჯილდოთი?

ნინო ჯაჯულია

ნომინაციაში – „საუკეთესო სამშვიდობო იდეა“ – გაიმარჯვა თამთა ნაბორაშვილმა, რომელსაც გადასცეს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დაარსებული პრემია 3000 ლარის ოდენობით. ამასთან, ევროპის საბჭოს მხარდაჭერითა და უშუალო ჩართულობით, გამარჯვებული ახალგაზრდები ქალაქ სტრასბურგში მონაწილეობას მიიღებენ დემოკრატიის მსოფლიო ფორუმში

თსუ-ს ცენტრალური კანცელარიის საქმისწარმოების განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის მიმართულების დოქტორანტმა თამთა ნაბორაშვილმა მიიღო „მშვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის“. ეს ჯილდო 2021 წლიდან დაწესებულია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ და ყოველწლიურად გადაეცემა ახალგაზრდას ან ახალგაზრდების ჯგუფს, მათ შორის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან. „მშვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის“ გაიცემა მათთვის, ვისაც, საქართველოს მთავრობის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, საკუთარი საქმიანობითა და აქტივობით განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ მშვიდობის მშენებლობის და ომით გაყოფილ საზოგადოების წევრებს შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენის, ასევე კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაზე ზრუნვის პროცესში.

ნომინაციაში – „საუკეთესო სამშვიდობო იდეა“ – გაიმარჯვა თამთა ნაბორაშვილმა, რომელსაც გადასცეს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ დაარსებული პრემია 3000 ლარის ოდენობით. ამასთან, ევროპის საბჭოს მხარდაჭერითა და უშუალო ჩართულობით, გამარჯვებული ახალგაზრდები ქალაქ სტრასბურგში მონაწილეობას მიიღებენ დემოკრატიის მსოფლიო ფორუმში.

თამთა ნაბორაშვილს კონკურსზე წარდგენილი ჰქონდა პროეტი – „ერთად მშვიდობიანი მომავლისთვის – ახალგაზრდული მედიალაბი“.ეს პროექტი გულისხმობს ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ახალგაზრდებისა და საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები მათი თანატოლების ჩართულობით შექმნილ ონლაინ მედიალაბს, სადაც ისინი ერთად იმუშავებენ ნეიტრალურ, ჰუმანურ თემებზე – ეკოლოგია, კულტურა, ტექნოლოგიები, სამეცნიერო იდეები და ადგილობრივი პრობლემების გადაჭრის გზები.

„ახალგაზრდული მედიალაბინწარმოადგენს ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ ციფრულ პლატფორმას, რაც ხელს შეუწყობს კონფლიქტით დაზარალებული ჯგუფების ინტეგრაციას ნეიტრალური, ჰუმანური ინტერესების გარშემო. პროექტის მთავარი მიზანია – შექმნას მდგრადი კავშირები მომავალ თაობებს შორის, სადაც ურთიერთობები აგებული იქნება არა ისტორიულ ტრავმებზე, არამედ მიმართული იქნება საერთო მომავლის შექმნისკენ“, – აღნიშნავს თამთა ნაბორაშვილი.

თამთა ნაბორაშვილის პროექტი, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო სამშვიდობო იდეა, მიზნად ისახავს საქართველოში მდგრადი მშვიდობის მშენებლობასა და ნდობის აღდგენას, განსაკუთრებით საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ ქართველ, აფხაზ და ოს ახალგაზრდებს შორის. პროექტის ძირითადი ამოცანაა ისეთი პლატფორმის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთპატივისცემის, კონფლიქტების გადალახვის და დიალოგის კულტურის ჩამოყალიბებას განსხვავებული ეთნიკური და პოლიტიკური იდენტობების მქონე ახალგაზრდებს შორის.

პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ 14-დან 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთის, ცხინვალის და საქართველოს სხვა რეგიონებში.

პროექტი მოიცავს არა მხოლოდ საქართველოსა და მის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებს, არამედ გააჩნია რეალური პოტენციალი გახდეს გლობალური მასშტაბის ინკლუზიური და კულტურული ინიციატივების ნაწილი, რომელიც ხელს შეუწყობს კონფლიქტების გადალახვას ახალგაზრდული თანამშრომლობის საფუძველზე.

90 წლისთავზე – ელიზბარ ნადარაიას ცხოვრება და მოღვაწეობა

ნინო ჯაჯულია

მნიშვნელოვანი თარიღები გვახსენებს იმ ადამიანებს, რომლებმაც თავისი შრომითა და მოღვაწეობით შეცვალეს არა მხოლოდ ჩვენი ქვეყანა, არამედ მსოფლიო მეცნიერებაც. იუბილე მხოლოდ პირად თარიღს არ ნიშნავს – ეს არის დრო, როცა საზოგადოებას შეუძლია კიდევ ერთხელ გაიხსენოს და შეაფასოს დიდი ადამიანების ნაშრომი და იდეები. ასეთი პიროვნებაა პროფესორი ელიზბარ ნადარაია. იგი ერთ-ერთია იმ მეცნიერებს შორის, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს თანამედროვე მათემატიკური სტატისტიკის განვითარებაში და მისცეს ახალი მიმართულება როგორც თეორიას, ისე პრაქტიკას. მის სახელს უკავშირდება არაპარამეტრული სტატისტიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური მეთოდი – რეგრესიის ფუნქციის შეფასება. ეს მეთოდი განსაკუთრებულია, რადგან გამოიყენება თითქმის ყველა სფეროში: ეკონომიკაში, ფინანსებში, მედიცინაში, ინჟინერიაში და ხელოვნურ ინტელექტში. მისი მთავარი უპირატესობა ის არის, რომ მონაცემებში კავშირებს პოულობს მოდელის წინასწარი დადგენის გარეშე. სწორედ ამიტომ გახდა იგი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ფართოდ გამოყენებული მეთოდი არაპარამეტრულ სტატისტიკაში.

პროფესორ ელიზბარ ნადარაიას საქმიანობის შესწავლა დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ მისი დროის სამეცნიერო გარემო და დავინახოთ, როგორ შეუწყო ხელი მათემატიკური სტატისტიკის განვითარებას. მისი იუბილე კი კარგი შესაძლებლობაა, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მისი ცხოვრება და ნაშრომები, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მსოფლიო მეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ელიზბარ ნადარაიას სამეცნიერო შრომებმა პრინციპული წვლილი შეიტანა თანამედროვე მათემატიკური სტატისტიკის განვითარებაში, კერძოდ, განაწილების სიმკვრივის და რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრულ შეფასებათა თეორიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრულ შეფასებათათეორიას საფუძველი ჩაეყარა 1964 წელს საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთდროულად ე. ნადარაიასა და გ. ვატსონის მიერ და ლიტერატურაში ცნობილია ნადარაია-ვატსონის (Nadaraya-Watson) გულოვანი შეფასების სახელით (მას ნადარაია-ვატსონის პირობით ემპირიულ შემთხვევით პროცესსაც უწოდებენ). ე. ნადარაია არის 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომელთაგან უმეტესობა გამოქვეყნებულია საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში. იგი მონაწილეობდა არაერთ საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციაში. არის სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი, საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტის წევრი.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ე. ნადარაიამ: 1) პირველმა გადაწყვიტა სმირნოვის პრობლემა – მოძებნა საკმარისი პირობა სიმკვრივის განაწილების გულოვანი შეფასების თანაბარი გადახრის თითქმის აუცილებლად კრებადობის შესახებ; 2) პირველმა ამოხსნა უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა სიმკვრივის შეფასების კრებადობის შესახებ; 3) პირველმა გადაწყვიტა სიმკვრივის შეფასების თანაბარი გადახრის ზღვარითი განაწილების საკითხი; 4) ამოხსნა ბერნშტეინის ცნობილი პრობლემა ორი განაწილების სიმკვრივეთა

ნახვევის (composition) კომპონენტის სტატისტიკური შეფასების შესახებ; 5) შემოიღო განაწილების ფუნქციის ახალი ტიპის შეფასება და დაამტკიცა მათემატიკური სტატისტიკის ცენტრალური თეორემის (გლივენკო-კანტელის) ანალოგი; 6) პირველმა შეისწავლა რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრული გულოვანი შეფასების ძალდებულობისა და ასიმპტოტური ნორმალურობის პრობლემები, შეისწავლა მისი ინტეგრალური კვადრატული გადახრის ასიმპტოტიკა და გამოიკვლია კრებადობის რიგი, მოძებნა თითქმის აუცილებლად კრებადობის საკმარისი პირობა; 7) პირველმა შეისწავლა რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრული გულოვანი შეფასების მაქსიმალური გადახრის ზღვარითი განაწილების კანონი; 8) პირველმა შეისწავლა რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრული გულოვანი შეფასების ინტეგრალური კვადრატული გადახრის ზღვარითი განაწილების კანონი, რომელიც რეგრესიის ფუნქციის შესახებ ჰიპოთეზის შემოწმების კრიტერიუმის აგების საშუალებას იძლევა; 9) შემოიღო არაპარამეტრულ შეფასებათა ზოგადი კლასი სტატისტიკური მრუდებისათვის, რომელიც მოიცავს ბევრ ცნობილ შეფასებას. პირველად მარტინგალთა თეორიის გამოყენებით, მოძებნა ზოგადი სახის მრუდების შეფასების ინტეგრალური კვადრატული გადახრის ზღვარითი განაწილების კანონი; 10) ააგო ერთგვაროვნების ჰიპოთეზის შემოწმების უაღრესად საინტერესო ტესტი და აჩვენა, რომ გარკვეული ტიპის ალტერნატივათა მიმდევრობისათვის აგებული კრიტერიუმი უფრო მძლავრია, ვიდრე კოლმოგოროვ-სმირნოვის ერთგვაროვნების ცნობილი კრიტერიუმი; 11) განაწილების სიმკვრივის ვოლვერტონ-ვაგნერის შეფასების საფუძველზე ააგო ინტეგრალური ტიპის კრიტერიუმი თანხმობის ჰიპოთეზის შემოწმებისთვის და აჩვენა, რომ პიტმანის ტიპისა და სინგულარული ალტერნატივებისათვის აგებული ტესტი უფრო მძლავრია, ვიდრე როზენბლატ-ბიკელისა და კოლმოგოროვ-სმირნოვის თანხმობის ცნობილი კრიტერიუმები.

ბოლო წლებში მის მიერ გადაწყვეტილი ფუნდამენტური პრობლემებია: განაწილების სიმკვრივის დეველსის რეკურენტული შეფასების ინტეგრალური გადახრის ზღვარითი განაწილების დადგენა და აგებული თანხმობის კრიტერიუმის შედარება კოლმოგოროვ-სმირნოვის ცნობილ კრიტერიუმთან; განაწილების სიმკვრივის ჩენცოვის პროექციული შეფასებათა ურთიერთ ინტეგრალური კვადრატული გადახრათა ზღვარითი განაწილების კანონის დადგენა მრავალი დამოუკიდებელი შერჩევათა სერიის შემთხვევაში და ერთგვაროვნების ჰიპოთეზის შემოწმების სრულიად ახალი კრიტერიუმის აგება; პუასონის რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრული გულოვანი შეფასების აგება და თანაბრად კრებადობისა და ნორმალურობის დამტკიცება; პუასონის რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრული შეფასების ინტეგრალური კვადრატული გადახრის ზღვარითი განაწილების კანონის დადგენა; ორი შერჩევისათვის აგებული პუასონის რეგრესიის ფუნქციათა შეფასების ინტეგრალური გადახრის ზღვარითი განაწილების დადგენა; ბერნულის რეგრესიის ფუნქციის შეფასების აგება ბერნშტეინის პოლინომების საშუალებით და ძალდებულობისა და ასიმპტოტურად გადაუადგილებადობის საკითხის შესწავლა. ბერნულის რეგრესიის ფუნქციის სახის შესახებ ჰიპოთეზის შემოწმების კრიტერიუმების აგება. გარდა ამისა, მან ააგო ბერნულის რეგრესიის ფუნქციათა ტოლობის ჰიპოთეზის შემოწმების კრიტერიუმები და გამოიკვლია მისი თვისებები.

პროფესორი ე. ნადარაია არ კმაყოფილდება მიღწეულით და გეგმავს: დეველსის განაწილების სიმკვრივის განზოგადოებული რეკურენტული შეფასების ინტეგრალური ზღვარითი განაწილების პოვნას, განაწილების სიმკვრივის პროექციული შეფასების საშუალებით აგებული თანხმობის კრიტერიუმის ზღვარითი სიმძლავრის მოძებნას, ორი პუასონის რეგრესიის ფუნქციის ტოლობის ჰიპოთეზის შემოწმების კრიტერიუმის აგებას დაჯგუფებული მონაცემებისათვის; გასერ-მიულერის მეთოდით ბერნულისა და პუასონის რეგრესიის ფუნქციათა შეფასების აგებას და მისი ასიმპტოტური თვისებების შესწავლას. მთლიანობაში, პროფ. ე. ნადარაიას მიერ მეცნიერებაში შეტანილი წვლილის აღიარების არასრული ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლები ასე გამოიყურება:

- ე. ნადარაია სამეცნიერო შედეგების ნაწილი შესულია 100-მდე (მათემატიკის მიმართულების) მონოგრაფიასა და სახელმძღვანელოში (იხ. http://www.books.google. com/books?q=nadaraya-watson);
- ნადარაია-ვატსონის ფორმულის გამოყენება ხდება სხვადასხვა სამეცნიერო სტატიებსა და მონოგრაფიებში, განსაკუთრებით ეკონომიკასა და ფინანსებში (მაგალითად, იხ. Google-ში: Nadaraya-Watson Estimator in Economics and Finance);
- ე. ნადარაიას შედეგები შეტანილია სალექციო კურსებშიც (მაგალითად, იხ. Google -ში: Mini-course „Nonparametric Curve Estimation„, Lecture 3, September 18, 2014; CSE 6740 Lecture 7 – Georgia Institute of Technology და სხვ.);
- ე. ნადარაიას ორი შრომა მითითებულია SIAM-ის ჟურნალ „Theory of Probability and Its Applications„-ის ვებგვერდზე ამ ჟურნალში გამოქვეყნებული ყველა დროის პოპულარულ 10 სტატიას შორის (მაღალი ქულებით): http://www.mathnet.ru/php/tvp.
- მისი ციტირების ინდექსია 5963 Harzing's Publish or Perish-ის მიხედვით.

პროფესორი ელიზბარ ნადარაია დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებას. ის არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის გამგე და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ინფორმაციის დამუშავებისა და სტატისტიკური ანალიზის მიმართულებით. მომზადებული ჰყავს მრავალი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი. ის დღესაც ჩვეული შემართებით და ენერგიით აგრძელებს საყვარელ საქმიანობას, კითხულობს ლექციებს და აგრძელებს კვლევით მუშაობას.

პროფესორ ელიზბარ ნადარაიას სამეცნიერო ღვაწლი თამამად შეიძლება ჩაითვალოს შემოქმედებითი გონების, ბრწყინვალე ინტელექტისა და უანგარო შრომის სიმბოლოდ. მისი ნაშრომები და აღმოჩენები არა მხოლოდ წარსულ ეპოქას ეკუთვნის, არამედ დღემდე განსაზღვრავს სამეცნიერო დისკურსის მიმართულებებს და მომავალი თაობებისთვის შთაგონებისა და კვლევების წყაროდ იქცევა. სწორედ ამიტომ, ელიზბარ ნადარაიას მემკვიდრეობა უნდა გავიაზროთ არა მხოლოდ როგორც ერთი კონკრეტული მეცნიერის შრომა, არამედ როგორც საყოველთაო, მსოფლიო მასშტაბის სამეცნიერო მონაპოვარი, რომელიც ბევრ თაობას აღზრდის. ბატონი ელიზბარის მოღვაწეობა გვახსენებს, რომ მეცნიერება ყოველთვის სცდება დროისა და სივრცის საზღვრებს და რჩება უნივერსალურ ფასეულობად.

ომარ ფურთუხია

საქართველოს სტატისტიკური ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი

პეტრე ბაბილუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი

მისი ღვაწლი თაობების განათლებასა და მეცნიერების განვითარებაში შეუფასებელია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამორჩეული უნივერსიტეტელის, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დამაარსებლის, ლეგენდარული ქართველი ელინისტის, აკადემიკოსის, საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, თსუ-ს ემერიტუსი პროფესორის რისმაგ გორდეზიანის გარდაცვალების გამო.

რისმაგ გორდეზიანი არა მხოლოდ დიდი მეცნიერი, არამედ უმნიშვნელოვანესი პიროვნება იყო ქართული ფილოლოგიისა და განათლების სფეროში – მისი ღვაწლი თაობების განათლებასა და მეცნიერების განვითარებაში შეუფასებელია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უსამძიმრებს მის ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებსა და სტუდენტებს.

1927 წლიდან
თბილისის უნივერსიტეტი

თსუ გამოშვება 2025

თსუ-ში წლის მთავარი ღონისძიება – ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 2025 წლის კურსდამთავრებულთა გამოშვების საზეიმო ღონისძიება გაიმართა. თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ კურსდამთავრებულებს უნივერსიტეტის დამთავრება მიულოცა და წარმატებები უსურვა: „თქვენ ჩვენი ერის ყველაზე დიდი საგანძური ხართ. თქვენს ხელთაა საქართველოს მომავალი. ჩვენ უზომოდ ვამაყობთ თითოეული თქვენგანით. მთავარია შრომა და რწმენა წარმატებისა. თუ ეს გექნებათ, ცხოვრებაში დაუძლეველი არაფერია“!

ღონისძიებას თსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრები, ფაკულტეტების დეკანები, საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ.

წელს თსუ 3500-მდე სტუდენტმა დაამთავრა. მათ შორის ყველაზე წარჩინებულები -2025 წლის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის შვიდივე ფაკულტეტის ყველაზე წარმატებული კურსდამთავრებულები – წარჩინების სიგელებითა და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ღონისძიება დატვირთული იყო თანამედროვე ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შექმნილი მასალებით. ხელოვნული ინტელექტის დახმარებით გენერირებულმა უნივერსიტეტის პირველმა სტუდენტმა მედეა ღამბაშიძემ 3500 კურსდამთავრებულს მიმართა.

თსუ-ს ვაჟთა ვოკალურმა სტუდენტურმა ანსამბლმა შეასრულა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, თსუ-ს სტუდენტურმა კაპელამ კი – სტუდენტური ჰიმნი „გაუდეამუსი“.

ღონისძიების ფარგლებში 2025 წლის კურსდამთავრებულთა სახელზე დაირგო წითელი ნეკერჩხალი, რითაც გაგრძელდა გასულ წელს დაწყებული ინიციატივა – კურსდამთავრებულთა ხეივნის გაშენება.

მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი
მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი
ირმა სულიაშვილი

ჟურნალისტები:
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი
ნინო ჩარკვიანი
კონსულტანტი
მერაბ კოკოჩაშვილი

ფოტოკორესპონდენტი
გიზო ყუფარაძე
კომპ. უზრუნველყოფა
მიხეილ თვარაძე

რედკოლეგიის წევრები:
მანანა შამილიშვილი,
იაგო კაჭკაჭიშვილი,
ირმა რატიანი,
ირინე დარჩია,
თინათინ ბოლქვაძე,
ვლადიმერ პაპავა,
ეთერ ხარაიშვილი,
რევაზ გველესიანი,
ეკატერინე ფირცხალავა,
ნინო გაჩეჩილაძე,
თემურ ნადარეიშვილი,
ლელა ჯანაშვილი,
მაია ივანიძე,
მამუკა მარგველაშვილი,
გია ლობჟანიძე,
ნინო უგრეხელიძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ა
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
577 52 77 73

ვებგვერდი:
gazeti.tsu.ge
ელ.ფოსტა:
nino.kakulia@tsu.ge

gazeti.tsu.ge

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ თვეში ერთხელ ბეჭდური სახით გამოიცემა.

ეწვიეთ ყოველდღიურ ჩვენს ვებ-გვერდს
gazeti.tsu.ge

მოგვაწოდეთ ინფორმაცია გასაშუქებლად და გაეცანით საუნივერსიტეტო სიახლეებს